ქალაქი
გასული საუკუნიდან
1918-1921

ქალაქი
გასული საუკუნიდან
1918-1921

პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხადრაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშრისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის მხარდაჭრით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს USAID, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ის შეხედულებებს. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი.

CENTERS.GE
დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი
NETWORK OF CENTERS FOR CIVIC ENGAGEMENT (NCCE)

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST-WEST MANAGEMENT INSTITUTE
საქმიანობა საზოგადოების განვითარებისა და ძოძალაქეების ჩართულობის ჯროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

მომზადებული და გამოცემულია „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ (NCCE) მიერ.
WWW.CENTERS.GE

ავტორი:
სალომე ჭანტურიძე

რედაქტორი:
კატო ჭავახიშვილი

ტექნიკური რედაქტორი:
რუსუდან ბუბულაშვილი

დიზაინი:
ბესიკ დანელია

ISBN 978-9941-8-2187-5

სარჩევი

წინასიტყვაობა	**4**
ქალები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან	**5**
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების მიერ წარდგენილი ქალი კანდიდატები	**7**
ანა (ოლღა) სოლოღაშვილი	12
ელეონორა (ლოლა) ტერ-ფარსაგოვა-მახვილაძე	15
ელისაბედ (ლიზა) ბოლქვაძე-ნაკაშიძე	17
მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე	19
ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე	21
ნინო ანთაძე-ნაკაშიძე	23
მარიამ ვარდოსანიძე	25
ფარი-ხანუმ სოფიევა	26
კულტურულ ცხოვრებაში მოღვაწე ქალები	**28**
მარია პერინი	28
ნოტიო ლოლუა	32
ელენე (ჩერი) ჩერქეზიშვილი	36
ოლღა ბახუტაშვილი-შულგინა	40
მედეა ღამბაშიძე	42
ევა ბრუნელი	45
ნინო (ნუცა) ჩხეიძე	48
ელენე (ელო) ანდრონიკაშვილი	52
სოფიო რომანიშვილი-დგებუაძე	56
გამოყენებული ლიტერატურა	**60**

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომის მიზანი ქალთა ისტორიული მიღწევებისა და წარმატებების წარმოჩენა და ამ გზით მსოფლიოს განვითარებაში ქალების როლის ხაზგასმაა. პუბლიკაცია აერთიანებს საუკუნის წინ მოღვაწე იმ ქალთა ისტორიებს, რომელთაც საქართველოს ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავთ და უდიდესი როლი ითამაშეს საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლაში.

ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებამდე არაერთი ქალი გვევლინება რევოლუციური იდეების გამტარებლად. მძიმე პოლიტიკური თუ სოციალური ფონის მიუხედავად, ისინი მაინც ახერხებდნენ განათლების მიღებას და საკუთარი იდეების ხალხამდე მიტანას. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ადამიანებმა, გამორჩეულად კი ქალებმა, უდიდესი წვლილი შეიტანეს ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებაში, თავიანთ თავზე აიღეს „განმანათლებლების“ ფუნქცია და, გარკვეულწილად, განაპირობეს იმდროინდელი საქართველოს კულტურული აღმასვლა.

XIX საუკუნის დასასრულს მსოფლიოში მომძლავრებულმა ქალთა მოძრაობებმა, როგორც ჩანს, საქართველოშიც პოვა გამოძახილი. ევროპაში განათლებამიღებული ქალები ქალაქად თუ სოფლად აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდნენ. შეხვედრების, ლექციების, პრესაში გამოქვეყნებული წერილების მეშვეობით ევროპაში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ხალხს გადასცემდნენ და თავიანთი რევოლუციური იდეებით ქვეყნის გამოფხიზლებას ცდილობდნენ.

ქალები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) არსებობის ხანმოკლე პერიოდი ჩვენი ქვეყნის ისტორიის მნიშვნელოვანი და გარდამავალი ეტაპია არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ მენტალური და ღირებულებითი თვალსაზრისითაც. მიუხედავად არსებობის სამი არასრული წლისა, ქვეყანამ მოასწრო, გამხდარიყო პროგრესული, დემოკრატიული, თავისუფალი სახელმწიფო.

103 წლის წინ, მაშინ, როცა ოფიციალურად შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, საზოგადოება უკვე აქტიურად საუბრობდა ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორებიცაა: თანასწორობა, რელიგიისა და გამოხატვის თავისუფლება, შრომითი უფლებები, ქალთა განათლების ხელშეწყობა და ა.შ. მაშინდელ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ საგანმანათლებლო პროექტებში ქალები აქტიურად იყვნენ ჩართულები.

სწორედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პროგრესულ მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ორივე სქესის მოქალაქეებს თანაბარი უფლება ჰქონდათ როგორც ხმის მიცემის, ასევე არჩევნებში მონაწილეობის კუთხითაც. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს დემოკრატიული

რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნებში, 1919 წლის 14–16 თებერვალს, საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებულ 15 საკანდიდატო სიაში წარმოდგენილი 600 კანდიდატიდან 26 იყო ქალი.

ქალი კანდიდატები სიაში შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს ჰყავდათ:

- N1 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (6 კანდიდატი);
- N3 საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია (5 კანდიდატი);
- N4 სომეხთა რევოლუციური პარტია „დაშნაკციუთუნი“ (2 კანდიდატი);
- N5 საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია (9 კანდიდატი);
- N7 საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტია (1 კანდიდატი);
- N9 საქართველოს სოციალ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია (3 კანდიდატი).

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების საკანდიდატო სიები, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების მიერ წარდგენილი

ქალი კანდიდატები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნებში პოლიტიკური სუბიექტების მიერ სიებში წარმოდგენილი ქალები იყვნენ:

N1 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

130-კაციან სიაში 6 ქალი კანდიდატი:

N36 – ელეონორა ტერ-ფარსაგოვა-მახვილაძისა

N61 – მინადორა ტოროშელიძე

N72 – ქრისტინე შარაშიძე

N79 – ელისაბედ ბოლქვაძე

N110 – ანნა (ოლღა) სოლოღაშვილი

N126 – მარიამ ბერიანიძე

N3 საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია

73-კაციან სიაში 5 ქალი კანდიდატი:

N31 – მარიამ ჩხეიძე

N49 – ნინო მაჩაბელი-ანდრონიკაშვილისა

N51 – ოლღა სანიკიძე-ვალაბუევისა

N54 – სოფიო ზარიძე

N68 – ნინა ნადირაძე

N4 სომეხთა რევოლუციური პარტია – „დაშნაკცუთიუნი“

19-კაციან სიაში 2 ქალი კანდიდატი:

N11 – დარია თადეოსიანი

N19 – სირანუშ ამირბეგიანი

N5 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია

120-კაციან სიაში 9 ქალი კანდიდატი:

N26 – ნინო ნაკაშიძე

N37 – მელანია გველესიანი

N41 – ალექსანდრა ბერეკაშვილი-სანიკიძისა

N43 – თამარ ფალავანდიშვილი

N46 – ელენე იმნაძე

N56 – თამარ მაჭავარიანი

N65 – აგრაფინა ბახტაძე

N78 – ლიუბა ჩხენკელი

N107 – ანნა იურკევიჩი

N7 საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტია

50-კაციან სიაში 1 ქალი კანდიდატი:

N24 – ნადეჟდა შალამბერიძე

N9 მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია

38-კაციან სიაში 3 ქალი კანდიდატი:

N20 – ნინო დგებუაძე

N28 – შუშანიკა ქავთარაძე

N34 – ნადეჟდა ჩიკვაიძე


ᲬᲛᲐᲜ ᲞᲐᲚᲘᲕ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული
ᲛᲔᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲘᲐᲡ, ᲜᲝᲛᲔᲠ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

1. ᲗᲐᲠᲘᲔᲚᲘ
2. ᲯᲐᲒᲝᲚᲐᲕᲐ
3. ᲜᲘᲜᲝ
4. ᲬᲘᲚᲐᲫᲔ
5. ᲠᲘᲠᲘᲐ
6. ᲨᲣᲨᲐᲜᲘᲙᲘ
7. ᲜᲘᲜᲝ
8. ᲜᲐᲙᲐᲨᲘᲫᲔ
9. ᲜᲘᲜᲝ
10. ᲜᲘᲜᲝ
11. ᲚᲘᲚᲘᲐ
12. ᲒᲘᲠᲘᲜᲐ
13. ᲜᲘᲜᲝ
14. ᲜᲘᲜᲝ
15. ᲜᲘᲜᲝ
16. ᲜᲘᲜᲝ
17. ᲜᲘᲜᲝ
18. ᲜᲘᲜᲝ
19. ᲗᲐᲠᲘᲔᲚᲘ
20. ᲜᲘᲜᲝ
21. ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲜᲐ
22. ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ
23. ᲜᲘᲜᲝ
24. ᲜᲘᲜᲝ
25. ᲜᲘᲜᲝ
26. ᲜᲘᲜᲝ
27. ᲜᲘᲜᲝ
28. ᲜᲘᲜᲝ
29. ᲜᲘᲜᲝ
30. ᲜᲘᲜᲝ
31. ᲜᲘᲜᲝ
32. ᲜᲘᲜᲝ
33. ᲜᲘᲜᲝ
34. ᲜᲘᲜᲝ
35. ᲜᲘᲜᲝ
36. ᲜᲘᲜᲝ
37. ᲜᲘᲜᲝ
38. ᲜᲘᲜᲝ
39. ᲜᲘᲜᲝ
40. ᲜᲘᲜᲝ
41. ᲜᲘᲜᲝ
42. ᲜᲘᲜᲝ
43. ᲜᲘᲜᲝ
44. ᲜᲘᲜᲝ
45. ᲜᲘᲜᲝ
46. ᲜᲘᲜᲝ
47. ᲜᲘᲜᲝ
48. ᲜᲘᲜᲝ
49. ᲜᲘᲜᲝ
50. ᲜᲘᲜᲝ
51. ᲜᲘᲜᲝ
52. ᲜᲘᲜᲝ
53. ᲜᲘᲜᲝ
54. ᲜᲘᲜᲝ
55. ᲜᲘᲜᲝ
56. ᲜᲘᲜᲝ
57. ᲜᲘᲜᲝ
58. ᲜᲘᲜᲝ
59. ᲜᲘᲜᲝ
60. ᲜᲘᲜᲝ
61. ᲜᲘᲜᲝ
62. ᲜᲘᲜᲝ
63. ᲜᲘᲜᲝ
64. ᲜᲘᲜᲝ
65. ᲜᲘᲜᲝ
66. ᲜᲘᲜᲝ
67. ᲜᲘᲜᲝ
68. ᲜᲘᲜᲝ
69. ᲜᲘᲜᲝ
70. ᲜᲘᲜᲝ
71. ᲜᲘᲜᲝ
72. ᲜᲘᲜᲝ
73. ᲜᲘᲜᲝ
74. ᲜᲘᲜᲝ
75. ᲜᲘᲜᲝ
76. ᲜᲘᲜᲝ
77. ᲜᲘᲜᲝ
78. ᲜᲘᲜᲝ
79. ᲜᲘᲜᲝ
80. ᲜᲘᲜᲝ
81. ᲜᲘᲜᲝ
82. ᲜᲘᲜᲝ
83. ᲜᲘᲜᲝ
84. ᲜᲘᲜᲝ
85. ᲜᲘᲜᲝ
86. ᲜᲘᲜᲝ
87. ᲜᲘᲜᲝ
88. ᲜᲘᲜᲝ
89. ᲜᲘᲜᲝ
90. ᲜᲘᲜᲝ
91. ᲜᲘᲜᲝ
92. ᲜᲘᲜᲝ
93. ᲜᲘᲜᲝ
94. ᲜᲘᲜᲝ
95. ᲜᲘᲜᲝ
96. ᲜᲘᲜᲝ
97. ᲜᲘᲜᲝ
98. ᲜᲘᲜᲝ
99. ᲜᲘᲜᲝ
100. ᲜᲘᲜᲝ
101. ᲜᲘᲜᲝ
102. ᲜᲘᲜᲝ
103. ᲜᲘᲜᲝ
104. ᲜᲘᲜᲝ
105. ᲜᲘᲜᲝ
106. ᲜᲘᲜᲝ
107. ᲜᲘᲜᲝ
108. ᲜᲘᲜᲝ
109. ᲜᲘᲜᲝ
110. ᲜᲘᲜᲝ
111. ᲜᲘᲜᲝ
112. ᲜᲘᲜᲝ
113. ᲜᲘᲜᲝ
114. ᲜᲘᲜᲝ
115. ᲜᲘᲜᲝ
116. ᲜᲘᲜᲝ
117. ᲜᲘᲜᲝ
118. ᲜᲘᲜᲝ
119. ᲜᲘᲜᲝ
120. ᲜᲘᲜᲝ
121. ᲜᲘᲜᲝ
122. ᲜᲘᲜᲝ
123. ᲜᲘᲜᲝ
124. ᲜᲘᲜᲝ
125. ᲜᲘᲜᲝ
126. ᲜᲘᲜᲝ
127. ᲜᲘᲜᲝ
128. ᲜᲘᲜᲝ
129. ᲜᲘᲜᲝ
130. ᲜᲘᲜᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲑᲘᲣᲚᲔᲢᲔᲜᲘ. ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲘᲡᲢᲝᲠᲘᲝ ᲐᲠᲥᲘᲕᲨᲘ, ᲤᲝᲜᲓᲘ 1834, ᲐᲦᲬᲔᲠᲐ 2, ᲡᲐᲥᲛᲔ N52.

წარდგენილი 26 ქალი კანდიდატიდან დამფუძნებელი კრების წევრი ხუთი ქალი გახდა: ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე, ქრისტინე შარაშიძე, ელეონორა ტერ-ფარსაგოვა-მახვილაძე, მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძისა და ანა-ოლღა სოლოღაშვილი. აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის წარმომადგენლობით ორგანოებში ქალები ევროპის სულ რამდენიმე ქვეყანაში იყვნენ. დღევანდელი გადასახედიდან ეს ყველაფერი მაშინდელი საზოგადოების პროგრესზე, ორივე სქესის თანაბარუფლებიანობასა და პოლიტიკურ კულტურაზე მეტყველებს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში ქალებმა ხმის მიცემის უფლება რამდენიმე წლის დაგვიანებით მოიპოვეს, მაგალითად, ინგლისში – 1928 წელს, ესპანეთში – 1933 წელს, საფრანგეთში – 1944 წელს, იტალიაში – 1946 წელს და შვეიცარიაში – 1971 წელს.

იმ პერიოდის სტენოგრაფიულ ჩანაწერებსა და მთავრობის სხდომის ოქმებში კარგად ჩანს, როგორი აქტიურები იყვნენ საკანონმდებლო ორგანოს წევრი ქალები. პრესაში მრავლად იბეჭდებოდა მათი ინიციატივები და დისკუსიები განათლების, შრომის, ჯანმრთელობისა და სხვა საკონსტიტუციო წინადადებებზე. სამწუხაროდ, საბჭოთა რეპრესიებმა ორი მათგანის: ანა (ოლღა) სოლოღაშვილისა და ელისაბედ ბოლქვაძე-ნაკაშიძის – სიცოცხლე შეიწირა, დანარჩენების არქივები კი გაანადგურა და დღეს მათი საქმიანობის ამსახველი მასალა ძალიან მწირია.

პოლიტიკოსების გარდა, ცხადია, საზოგადოებრივი საქმიანობით მრავალი ქალი იყო დაკავებული. საგულისხმოა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებას სულ რამდენიმე თვით დაასწრო პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსების ფაქტმა, რომელთანაც ასოცირდება სამი ქალის: ელისაბედ ორბელიანის, ვანდა ჰოპე-ღამბაშიძისა და მედეა ღამბაშიძის – სახელები. ელისაბედ ორბელიანი და ვანდა ჰოპე-ღამბაშიძე უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლები და ლექტორები გახლდნენ, ახლად გახსნილ სასწავლებელში ერთი ფრანგულს, მეორე კი ინგლისურ ენას ასწავლიდა. ვანდა ჰოპე-ღამბაშიძის ქალიშვილი, მედეა ღამბაშიძე, კი უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი გახდა.

რესპუბლიკის პერიოდის თეატრალურ თუ მუსიკალურ სივრცეში არაერთი ქალი ჩნდება. იმართება თეატრალური, კულტურულ-საგანმანათლებლო თუ საქველმოქმედო საღამოები. იმ პერიოდში ჯერ კიდევ დიდ

სირთულეს წარმოადგენდა სცენაზე ქალების გამოჩენა, რადგან ქალის ძირითად მოვალეობად მხოლოდ ოჯახის მოვლა იყო მიჩნეული. მიუხედავად საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდიდან არაერთი ქალი იწყებს „დღის სინათლეზე გამოსვლას“. მათი მონაწილეობით იდგმება ქართულენოვანი ოპერები, პირველი ქართული ბალეტი, ამ პერიოდშია გადაღებული პირველი ქართული მხატვრული ფილმი „ქრისტინე“ და სხვა.

ასეთი გარემოს არსებობა გაოცებას იწვევს ევროპულ საზოგადოებაში. 1920 წელს, ევროპის სოციალისტური დელეგაციის საქართველოში სტუმრობის დროს, ეთილ სნოუდენმა[1] ხალხს მიმართა: „მე პირველი ვლაპარაკობ ამ ტრიბუნიდან, ვინაიდან ეს დამავალა მთელმა დელეგაციამ და ამის მიზეზია გუშინდელი თქვენი შეხვედრა, როცა დროშებით პირველად მოგვესალმა ქალთა ორგანიზაცია. ჩვენ ფრიად გვახარებს ის როლი, რომელსაც თამაშობენ ქალები საქართველოში. სამწუხაროდ, იქ, ჩვენში, ჯერ ეს არ არის. თქვენში ქალი გათანასწორებულია მამაკაცთან. ეს არის თავდები მომავალში ერის და მისი მოწინავე კლასის, მუშათა, დემოკრატიის განვითარებისა. გუშინ ჩვენ ვნახეთ ხევის ხალხი, იქ, პიტალო კლდეებში, ფრიალებს წითელი დროშები და ჩვენ ვნახეთ ამ დროშით ხელში მთელი ხალხი, მთელი გლეხკაცობა. ძლიერია ამ ხალხის ნებისყოფა და ვეჭვობთ, რომ რომელიმე ტირანიამ შეძლოს მისი დამარცხება; ახლახან დავბრუნდით რუსეთიდან და, როცა ვადარებთ იქაურ და აქაურ ცხოვრებას, უნდა ვთქვათ, რომ რუსეთში ვნახეთ მხოლოდ შიში, იქ ყველას ერთმანეთის ეშინია. იქ, თვით კომუნისტები უთხრიან ერთმანეთს სამარეს. ჩვენ წავალთ ბრიტანეთში და იქ თქვენ ამხანაგებს, ინგლისის მუშებს გადავცემთ, რომ საქართველოს ხალხს ჰყავს თავისი მთავრობა, რომელიც ხალხის ნებაზე ჰმართავს ქვეყანას და არა ისე, როგორც რუსეთის ეხლანდელი მთავრობა, რომელიც ხალხის ხმას ანგარიშს არ უწევს. ჩვენ ვეტყვით ინგლისის მუშებს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გვერდში უდგას მუშათა კლასი, რომ ეს მუშების მთავრობაა და ის აშენებს თავის დამოუკიდებლობას – თავისუფალ სახელმწიფოს. და ჩვენ იქ ხმას ავიმაღლებთ, რომ ცნობილ იქნეს საქართველო. (ხანგრძლივი ტაში)[2]“.

[1] ეთილ სნოუდენ-ანკანი (1881 –1951) – ბრიტანელი სოციალისტი, ფემინისტი. 1920 წელს მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის წევრებთან ერთად იმოგზაურა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ემილ სნოუდენი

რუსეთის მიერ ოკუპაციამ შეაჩერა ქვეყნის დასავლური გზით განვითარება და ბევრი რამ საბჭოთა რეპრესიების გამო დავიწყებას მიეცა. იმ პერიოდში მოღვაწე პოლიტიკოსი ქალები რეპრესიებს განიცდიდნენ. სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანები იძულებულები იყვნენ, ჩამოშორებოდნენ ყველაფერს, რაც მათ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან კავშირს წარმოაჩენდა. სწორედ ამიტომ საუკუნის წინათ მოღვაწე ქალებზე, რომლებმაც დაამსხვრიეს კლიშეები და ფართო ასპარეზზე გამოვიდნენ, მწირი ცნობები შემოგვრჩა. ზოგმა საკუთარი ნებით გაწყვიტა დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრაციასთან კავშირი, ზოგი ფიზიკურად გაანადგურეს, ზოგს ოჯახის წევრები გადაუსახლეს ან დაუხვრიტეს. ამიტომ ეს ადამიანები იძლებულები გახდნენ, უარეყოთ საკუთარი წარსული თავის გადასარჩენად.

დღეს ჩვენი ვალია, შევქმნათ აწმყო ჩვენი ისტორიის ფიგურალური ლაბირინთებიდან, გავაცოცხლოთ ჩვენი წარსული და გავითვალისწინოთ ის გამოცდილება, რომელიც ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ ჰქონდა ქვეყანას.

[2] ევროპის სოციალისტური დელეგაცია პროვინციაში, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., №215.

ანა (ოლგა) სოლოღაშვილი

1882-1937

პედაგოგი, პოლიტიკოსი,
დამფუძნებელი კრების წევრი

ანა სოლოღაშვილი გორის მაზრის სოფელ მეჯვრისხევში დაიბადა. ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიური ფაკულტეტის დასრულების შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა და 1903 წლიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი იყო. პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად და-ძმასთან ერთად საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებ მუშებს აცნობდა აკრძალულ ლიტერატურას და მონაწილეობდა რევოლუციურ გამოსვლებში. მისი თაოსნობით ბათუმში გაიხსნა წიგნსაცავი, ასევე ჩამოყალიბდა მუშათა თეატრი, რომელიც სოციალურად შეჭირვებული ფენისთვის ხელმისაწვდომი იყო.

1917 წელს ანა ეროვნული საბჭოს წევრად აირჩიეს. იყო გორის ქალთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი. 1918 წლიდან მონაწილეობდა



საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი
დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალურ
სახელმწიფო არქივში

საქართველოს ეროვნული საბჭოს მუშაობაში, ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტს, იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატების სიით, პარლამენტის წევრი, საბიბლიოთეკო და საპენსიო კომისიებისა და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მდივანი. მისი ინიციატივით საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო რამდენიმე კანონი, მათ შორის: ომებში დაზარალებულ მეომართა და მათი ოჯახების დახმარების შესახებ, განათლების მისაღებად ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასამგზავრებელ პირთათვის ორი მილიონი მანეთის გადადებისა და გადამდებ სენთან საბრძოლველად (იმ პერიოდში ფართოდ გავრცელებული ერთ-ერთი დაავადება იყო ე.წ. „ისპანკა“) შინაგან საქმეთა სამინისტროს სანიტარული ნაწილისთვის ოცი ათასი მანეთის გაღების შესახებ, ასევე კანონი სანახაობა-გართობებსა და წარმოდგენებზე დასასწრები ბილეთების დაბეგვრის შესახებ კულტურულ-საგანმანათლებელო დაწესებულებათა და დამსახურებულ მოღვაწეთა სასარგებლოდ.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ანტისაბჭოთა არალეგალურ მოძრაობაში ჩართვის პარალელურად ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ და საგანმანათლებლო საქმიანობას.

1937 წელს ანა სოლოღაშვილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონულმა განყოფილებამ დააპატიმრა და დახვრეტა მიუსაჯა. მას ბრალად ანტისაბჭოთა პროპაგანდა, „შოვინისტური“ განწყობების დეკლარირება და ისიდორე რამიშვილთან[3] კავშირი ედებოდა.

[3] ისიდორე რამიშვილი (1859-1937) – პედაგოგი, განმანათლებელი, ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და დამაარსებელი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი.

ისიდორე რამიშვილის მოგონება ანა სოლოღაშვილის შესახებ

„ძლიერდებოდა, როგორც ყველგან რუსეთისა და საქართველოს სხვა ქალაქებში, მუშათა მოძრაობა კაპიტალიზმის ძირს ჩამოსაგდებად და სოციალიზმის დასამყარებლად ბათუმშიაც და თან ძლიერდებოდა სოციალ-დემოკრატიის გავლენაც. ის თანაგრძნობას პოულობდა წვრილ ბურჟუაზიულ წრეებშიც ქალაქად და გლეხებში – სოფლად. მხოლოდ ის საზოგადო საქმეები პოულობდა განხორციელებას, რომელსაც თანაუგრძნობდა მუშათა კლასი და მისი ხელმძღვანელი პარტია. ჩვენ შევქმენით ბათუმში სახალხო, იაფფასიანი და ყველა ღარიბისთვის ხელმისაწვდომი, თეატრი, რომელიც ყოველთვის გაჭედილი იყო მუშებითა და ნოქრებით. ამ საქმეში ძლიერ ხელს გვიწყობდნენ ნიჭიერი მსახიობნი (მოთამაშენი) ძმები ხარაზიშვილები – სტეფანე და ედუარდი, დები სოლოღაშვილები – ევგენია და ანა. ეს უკანასკნელი დაჯილდოებული იყო უეჭველი არტისტული ნიჭით, ისე როგორც სტეფანე ხარაზიშვილი და ფილიპე მგელაძე.

საქართველოს დამფუძნებელი კრება - ანა-ოლღა სოლოღაშვილი
დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში

ამ წარმოდგენების მთავარი მიზანი იყო, რასაკვირველია, გონებრივი, კულტურული გართობა საზოგადოების დაბალი ფენებისა და ისიც, რომ ამ ფენებსა და მაღალ წრეებს შორის გამყოფი ხაზი გასმულიყო, მშრომელები მათ წინააღმდეგ დარაზმულიყო. შემოსავალი ასეთი წარმოდგენებიდან, რასაკვირველია, მცირე იყო და რაც იყო, ისიც მთლიანად ხმარდებოდა საზოგადო საქმეს – ლეგალურს და არალეგალურს. წრემ შექმნა წიგნების გამომცემლობის ამხანაგობა, სახელწოდბით „მეგობარი“.

ისიდორე რამიშვილი,
მოგონებანი, თბილისი, 2012.

ელეონორა (ლოლა)

ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე
1875-?

პოლიტიკოსი,
დამფუძნებელი კრების წევრი



ელეონორა თბილისში, მიხეილ ტერ-ფარსეგოვის და მატილდა ბარტოლდის ოჯახში, დაიბადა. თბილისის ქალთა გიმნაზიის კურსების დასრულების შემდეგ ის ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობას. 1905 წელს მეუღლესთან, ექიმ ვლადიმერ მახვილაძესთან, ერთად სოხუმში დასახლდა და აქტიურად ჩაება სოციალ-დემოკრატიული პარტიის სოხუმის ჯგუფის საქმიანობაში. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ჯგუფმა სოხუმის მმართველობა ჩაიგდო ხელში და მეფის ხელისუფლების თითქმის ყველა სტრუქტურა ჩაანაცვლა. მათ ბოიკოტი გამოუცხადეს სოხუმის თვითმმართველობას და აიძულეს სოხუმის სათათბიროს ხმოსნები, გადადგომის განცხადებით მიემართათ ქუთაისის გუბერნატორისთვის, სტაროსელსკისთვის. მიზანი მიღწეული იყო – სათათბირომ მუშაობა შეწყვიტა და ახალი თვითმმართველობის ასარჩევად დაიწყო მზადება.

1908–1917 წლებში ელეონორა ოთხჯერ დააპატიმრეს. 1918 წელს ის აირჩიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატების სიით. ელეონორა იყო შრომისა და სახალხო ჯანმრთელობის კომისიების წევრი, არაერთი საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი.

გასაბჭოების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მის სახლს მუდმივად უთვალთვალებდნენ, აქტიურად იყო ჩართული ანტისაბჭოთა არალეგალურ მოძრაობაში. საქართველოს ოკუპაციის წლისთავის აღსანიშნავად არაფორმალურმა ორგანიზაციამ მთელი რიგი დემონსტრაციები დაგეგმა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია საქართველოს სსრ საგანგებო კომისიას და ანტისაბჭოთა პარტიების ლიდერებისა და აქტიური წევრების დაპატიმრება დაიწყო. 1922 წლის 13 თებერვლის ღამეს ელეონორა მახვილაძე ძმასთან, კონსტანტინე მახვილაძესთან, ერთად საკუთარ სახლში დააპატიმრეს. ის მეტეხის ციხიდან 1922 წლის 14 ივლისს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გაათავისუფლეს.

1924 წლის აჯანყების შემდეგ ელეონორა სოციალ-დემოკრატიული პარტიის განადგურებული არალეგალური ორგანიზაციების აღდგენის პროცესში ჩაერთო. შედიოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური ცეკას[4] შემადგენლობაში, ხოლო თავმჯდომარის, სოლომონ თელიას, დაპატიმრების შემდეგ კი თავადვე ხელმძღვანელობდა ცეკას. 1926 წლის 22 თებერვალს ელეონორა ხელმეორედ დაპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. მხოლოდ 1930 წელს შეძლო მან საქართველოში დაბრუნება. გადასახლებიდან დაბრუნებული ელეონორა პედაგოგიურ საქმიანობას ეწოდა. გარდაცვალა 30-იანი წლების პირველ ნახევარში თბილისში, საკუთარ სახლში (გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია).

4 ცეკა – საქართველოს სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ გახდა არალეგალური.

ელისაბედ (ლიზა)

ბოლქვაძე-ნაკაშიძე

1885-1937

პოლიტიკოსი,
დამფუძნებელი კრების წევრი

ელისაბედ (ლიზა) იოსების ასული ბოლქვაძე დაიბადა ოზურგეთში, განათლება ტფილისის ქალთა გიმნაზიაში მიიღო. ელისაბედი 19 წლის ასაკში ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის გურიის კომიტეტის წევრი. 1907 წელს კი, გურიის კომიტეტის წევრების დაპატიმრების შემდეგ, ამიერკავკასიიდან გადაასახლეს და საქართველოში მხოლოდ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შეძლო დაბრუნება.

დაბრუნებისთანავე ლიზა „გურიის ქალთა საზოგადოების“ თავმჯდომარედ აირჩიეს. ის იყო ნატანების რაიონულ კოოპერატივთა კავშირის თავმჯდომარე; 1919 წლიდან – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატების სიით.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საგანგებო კომისიას შეუმჩნეველი არ დარჩენია ანტისაბჭოთა მოძრაობის წევრი ახალგაზრდა ქალის რევოლუციური საქმიანობა და 1923 წლის 2 მაისს ის „მენშევიკური პარტიის“ 78-კაციან ჯგუფთან ერთად ურალში გადაასახლა.

1924 წელს, აგვისტოს აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ბოლშევიკურმა რეჟიმმა შეარბილა თავისი გადაწყვეტილება და გადასახლებულთა ნაწილს საქართველოში დაბრუნების უფლება მისცა. მათ შორის იყო ლიზა ნაკაშიძეც. მაგრამ ანტისაბჭოთა არალეგალური მოძრაობა ისევ იკრებდა ძალას: იმართებოდა პარტიის არაფორმალური შეხვედრები, ორგანიზაციის წევრები ზრუნავდნენ პოლიტპატიმართა ოჯახებზე, აწესრიგებდნენ კონსპირაციულ კავშირებს პარტიის საზღვარგარეთის ბიუროსთან. 1926 წლის 22 თებერვალს, ელეონორა მახვილაძის დაპატიმრების შემდეგ, ლიზა ცეკას და თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელი გახდა და მალევე ის ხელმეორედ დააპატიმრეს. დაკითხვაზე ლიზამ აღიარა არალეგალურ ანტისაბჭოთა მოძრაობაში მონაწილეობა, თუმცა პარტიული კავშირებისა და პარტიის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ გასცა. მას კრასნოიარსკის მხარეში, მინუსინსკის პოლიტიზოლატორში,[5] სამწლიანი პატიმრობა მიესაჯა, რომელიც შემდგომ კიდევ სამი წლით გაუხანგრძლივეს. 1933 წლის 4 თებერვალს ლიზა ურალსკის მხარეში ცხოვრების უფლებით გაათავისუფლეს. ის ალტაის მხარის ქალაქ კამენში დასახლდა და „წითელ ჯვარში“ დაიწყო მუშაობა. სამიოდე წელში ლიზა კვლავ დააპატიმრეს და კოტე ანდრონიკაშვილთან ერთად კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და „მენშევიკების“ საზღვარგარეთის ბიუროსთან კავშირი დასდეს ბრალად. მას კრასნოიარსკის მხარეში 5 წლით გადასახლება მიესაჯა.

1936 წლის 6 ნოემბერს ლიზა ბოლქვაძე კვლავ დააპატიმრეს ქალაქ მინუსინსკში და ერთ წელში კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ბრალდებით კრასნოიარსკში დახვრიტეს. ლიზა ნაკაშიძის რეაბილიტირება მხოლოდ 1956 წელს მოხერხდა.

ელისაბედ ბოლქვაძის პარტიული მეტსახელები იყო: „თამარა“, „მისკო“, „ხვარამზე“.

2019 წლის 20 მარტს, „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ ინიციატივით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში ელისაბედ (ლიზა) ნაკაშიძე-ბოლქვაძის მემორიალური/საინფორმაციო დაფა გაიხსნა.

გურიაში სოფელ ნატანების მოსახლეობასთან საუბრისას გაირკვა, რომ ლიზა ნაკაშიძის ქმარი ქორწილის დღეს მოწამლეს. ლიზამ მისთვის საფლავის ქვა ხარკოვიდან ჩამოატანინა.

5 პოლიტიკური ნიშნით მსჯავრდებულ პირთა საპყრობილე.

მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე

1879-1967

მედიცინის დოქტორი, პოლიტიკოსი,
დამფუძნებელი კრების წევრი

მინადორა ორჯონიკიძე 1879 წლის 14 მარტს სოფელ ღორეშაში, აზნაურის ოჯახში, დაიბადა. ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიის დასრულების შემდგომ, უმაღლესი სამედიცინო განათლება ჟენევის უნივერსიტეტში მიიღო. ჟენევაში ცხოვრების პერიოდშივე დაუახლოვდა მარქსისტულ ჯგუფებს და აქტიურად ჩაერთო სოციალისტური წრეების საქმიანობაში. იმავე პერიოდში დაქორწინდა მალაქია ტოროშელიძეზე. 1905 წლის რევოლუციის დროს თავად მენშევიკების მხარეს იბრძოდა, მისი მეუღლე კი ბოლშევიკების იდეებს იზიარებდა.

თბილისში დაბრუნებისთანავე მინადორა რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი გახდა. 1918 წლიდან ჩაერთო საქართველოს ეროვნული საბჭოს მუშაობაში. ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტს. იყო სოციალ-დემოკრატების სიით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, დამფუძნებელი კრების წევრი, მონაწილეობდა შრომისა და სახალხო ჯანმრთელობის კომისიების მუშაობაში.

საბჭოთა არმიის თავდასხმის დროს, 1921 წლის თებერვალში, მინადორა ფრონტის წინა ხაზზე იდგა და დაჭრილებს სამედი-

მინადორა ორჯონიკიძე და მალაქია ტოროშელიძე



საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, ხელს აწერს მინადორა ტოროშელიძე
დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში

ცინო დახმარებას უწევდა. ოკუპაციის შემდგომ ამერიკული დახმარების ადმინისტრაციაში მუშაობის პარალელურად ხელმძღვანელობდა ქალთა არალეგალურ ორგანიზაციას, რომლის მიზანიც იმ ოჯახების დახმარება იყო, რომელთა წევრებიც პოლიტიკური ნიშნით იყვნენ დაპატიმრებული საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ.

1924 წელს მინადორა მოსკოვში გაასახლეს, რათა მას კომუნიკაცია არ ჰქონოდა საქართველოში დარჩენილ თანამებრძოლებთან; თუმცა მენშევიკებთან მუშაობაზე უარის თქმის შემდეგ უკან დაბრუნების უფლება მისცეს. თუმცა გადასახლებულ მენშევიკთან, გრიგოლ ლორთქიფანიძესთან, კავშირისა და ანტი-საბჭოთა საუბრების გამო ის მალევე ხუთი წლით ყაზახეთში გადაასახლეს, სადაც ქალაქ ჩიმკენტის პოლიკლინიკაში ექიმად მუშაობდა. მისი ისტორია გადასახლებით არ დასრულებულა. 1937 წლის 29 ოქტომბერს ე.წ. „ტროიკამ“ მას შრომა-გასწორებით კოლონიაში რვა წლით პატიმრობა მიუსაჯა. იმავე წელს დახვრიტეს მისი მეუღლე, მალაქია ტოროშელიძე, და შვილები, ლევან და გიორგი ტოროშელიძეები.

მინადორა თბილისში 1950 წელს დაბრუნდა. ის რეაბილიტირებულია 1956 წელს. გარდაიცვალა 1967 წლის 19 ოქტომბერს.

ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე

1887-1973

პედაგოგი, მეცნიერი, პოლიტიკოსი, დამფუძნებელი კრების წევრი

ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში, სახალხო მასწავლებლების, გიგო შარაშიძისა და ნინა ქიქოძის, ოჯახში დაბადებულმა ქრისტინემ დაწყებითი განათლება ჯერ სოფელ ბახვის სკოლაში, შემდგომ კი ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზიაში მიიღო. ბავშვობიდანვე მეამბოხე ხასიათით გამოირჩეოდა, სწორედ ამიტომ, რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო, აკრძალული ლიტერატურისა და ხელნაწერი გაზეთების გავრცელების ბრალდებით ის სკოლიდან გარიცხეს.

ქრისტინე ამას არ შეუშინებია. 1905 წლიდან ის უკვე სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას შეუერთდა, ამზადებდა საგაზეთო მასალებს და მონაწილეობდა რევოლუციურ გამოსვლებში. ასევე იყო აქტიური წევრი ე.წ სამედიცინო „მფრინავი რაზმისა“(სწრაფი რეაგირების), რომელიც „სომეხ-თათართა შეტაკებების[6]“ დროს სამედიცინო დახმარებას უწევდა დაშავებულებს.

რევოლუციური საქმიანობის პარალელურად ქრისტინე პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა და ქუთაისში, მარიამ ყაუხჩიშვილის კერძო გიმნაზიაში, ასწავლიდა. იყო ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისა

[6] სომეხ-თათართა შეტაკება – ეთნიკურ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის დაპირისპირება 1905-1906 წლებში.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, 1919 წ., ქრისტინე-ჩიტო შარაშიძე (ფოტოზე მარჯვნიდან პირველი)

და თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი. აქტიურად თანამშრომლობდა პრესასთან, რისთვისაც იყენებდა ფსევდონიმს – „ჩ.შ.“

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ქრისტინე შარაშიძე სოციალ-დემოკრატების სიით დამფუძნებელი კრების წევრად აირჩიეს. შედიოდა პრეზიდიუმის სამდივნოში, იყო საბიბლიოთეკო, სარედაქციო და სახალხო განათლების კომისიების წევრი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქრისტინე რამდენჯერმე დააპატიმრეს. 1922 წლის 25 თებერვალს დაპატიმრების მიზეზი გასაბჭოების წლისთავზე თბილისის მეათე პედაგოგიურ ტექნიკუმში სტუდენტების გაფიცვის ორგანიზების ბრალდება იყო. 6 თვით პატიმრობაც მიესაჯა, თუმცა ძმის, შალვა შარაშიძის, თავდებობით მეტეხის ციხიდან გაათავისუფლეს. მას შემდეგ აგრძელებს სწავლას და პედაგოგიურ საქმიანობას. 1927-1931 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე სწავლობდა. იყო მასწავლებელთა სახლის ქართული ენის კაბინეტის გამგე და საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის თანამშრომელი, მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებასა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. დამუშავებული და შესწავლილი აქვს IX-XIX საუკუნეების 1500-ზე მეტი ხელნაწერი. არის არაერთი სტატიისა და კვლევის ავტორი.

ქრისტინე შარაშიძე გარდაიცვალა 1973 წლის 10 ნოემბერს თბილისში. მისი საარქივო მასალები დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

2019 წლის 20 მარტს, „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ ინიციატივით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვში ქრისტინე შარაშიძის მემორიალური/საინფორმაციო დაფა გაიხსნა.

ნინო
ანთაძე-ნაკაშიძე
1872-1963

მწერალი, პედაგოგი,
პირველი ქართული ბაღისა და
საბავშვო თეატრის ერთ-ერთი
დამაარსებელი

ნინო ანთაძე 1872 წლის 13 იანვარს ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვში დაიბადა. ოზურგეთის ორკლასიანი სასწავლებლის დასრულების შემდეგ სწავლა თბილისის საბებიო (საბებიაქალო საქმე) ინსტიტუტში განაგრძო, სადაც მომავალი მეუღლე, პუბლიცისტი ილია ნაკაშიძე, გაიცნო და მალე ცოლადაც გაჰყვა მას.

ნინოს პუბლიკაციები იმდროინდელ პერიოდულ პრესაში 1902 წლიდან ჩნდება. ქვეყნდება ლექსი „იმედი“, მოთხრობები: „ძიძა“, „შობა“ და სხვ. იმავდროულად ნინო მარიამ დემურიასთან ერთად აარსებს საბავშვო ჟურნალს „ნაკადული“, რომელსაც მარიამის გარდაცვალების შემდეგ 18 წლის განმავლობაში რედაქტორობს. 1905 წლის რევოლუციის დროს, რომელსაც გურიის აჯანყება და რესპუბლიკის გამოცხადება მოჰყვა, აქტიურად ქვეყნდება ნინოს წერილები გლეხების ყოფა-ცხოვრების შესახებ, მისი მონაწილეობით იქმნება „დამწვართა კომიტეტი“[7], იმართება საქველმოქმედო საღამოები. ამ აქტივობებისთვის მას ორჯერ აპატიმრებენ. ნინო მუშების შვილების განათლებაზეც ზრუნავს და ვერაზე საკვირაო სკოლას ხსნის, სადაც თავად ქართულ ენასა და ანგარიშს ასწავლის, ილია ნაკაშიძე – საქართველოს ისტორიას, პეტრე სურგულაძე კი – ბუნებისმეტყველებას.

7 „დამწვართა კომიტეტი“ შეიქმნა თამარ ჭავჭავაძე ბაგრატიონის და მარიამ ჯამბაკურ ორბელიანის ინიციატივით, რომლის მიზანი ალიხანოვ-ავარსკის მიერ განადგურებული, გადამწვარი გურიის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების დახმარება იყო. ამ კომიტეტის წევრი იყო ნინო ანთაძე-ნაკაშიძეც.

რუსეთის განათლების მინისტრის წინააღმდეგობის მიუხედავად, 1910 წელს ნინო ნაკაშიძის თაოსნობით პირველი ქართული საბავშვო ბაღი გაიხსნა. ის იყო „წითელი ჯვრის“ გამგეობის წევრი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი, მუშაობდა „კავკასიელ ქალთა საზოგადოების“ თავმჯდომარედ, სადაც, წერა-კითხვის, ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის შემსწავლელი წრეების გარდა, იყო სამკერვალო, ფეხსაცმლის სახელოსნო და ასოთამწყობთა სკოლა ქალებისათვის. მისი ინიციატივით დაარსდა კოოპერატიული სასადილო და მოეწყო სამი უფასო სასადილო ომში გაწვეულთა შვილებისა და დევნილი ბავშვებისათვის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, 1919 წლის თებერვალში, მონაწილეობდა დამფუძნებელი კრების არჩევნებში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის სიით, თუმცა ვერ გაიმარჯვა.

1921 წლიდან ნინომ სოციალისტური აღზრდის მთავარი სამმართველოს სამხატვრო-სალიტერატურო სექტორის გამგედ დაიწყო მუშაობა. ამავე პერიოდში მისი ძალისხმევით დაარსდა პირველი ქართული საბავშვო თეატრი, რაც ქართული კულტურული სივრცისთვის ნამდვილ დღესასწაულად იქცა. პარალელურად წერდა საბავშვო მოთხრობებს , თარგმნიდა ტოლსტოის, ჩარლზ დიკენსს, ანდერსენს და სხვა. მასვე ეკუთვნის რამდენიმე პიესა. მათ შორის აღსანიშნავია „ვინ არის დამნაშავე?“, რომლის მიხედვით გადაღებულია ამავე სახელწოდების ფილმი. 1924 წლიდან ნინო ანთაძე-ნაკაშიძე მწერალთა კავშირის წევრია.

ნინო ანთაძე-ნაკაშიძე გარდაიცვალა 1963 წლის 2 ივლისს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

მარიამ ვარდოსანიძე

1864-1943

მასწავლებელი, აქტივისტი

მარიამი ქუთაისში, ღარიბ ოჯახში, დაიბადა. მამა, ოტია დემურიშვილი, ფიზიკური შრომით არჩენდა შვილებს, თუმცა ყველანაირად შეუწყო ხელი მარიამს, რომ მას ქალთა გიმნაზიის სრული კურსი დაემთავრებინა. 1884 წელს ღარიბი ხელოსნის შვილმა მასწავლებლის ხარისხი მიიღო და კერძო სკოლაში დაიწყო მუშაობა.

თავად გაჭირვებაში გაზრდილი, სულ იმ ბავშვებზე დარდობდა, სიდუხჭირის გამო სწავლას რომ ვერ ახერხებდნენ, ამიტომ აქტიურად ჩაება საკვირაო სკოლების მოწყობის საქმეში. სწორედ მისი ეგიდით გაიხსნა 1891 წელს ქუთაისში პირველი საკვირაო სკოლა. ხშირად საკუთარი ფულით ყიდულობდა მოსწავლეებისთვის სასწავლო ინვენტარს. სკოლას არსებობისთვის საჭირო პირობები რომ ჰქონოდა, კონცერტებს და წარმოდგენებს მართავდა, ასევე კერძო პირებისგან აგროვებდა შემოწირულებებს.

ორმოცდახუთი წლის განმავლობაში ემსახურა მარიამი სწავლა-აღზრდის საქმეს. იყო ქუთაისის საეპარქიო ქალთა სასწავლებლის გამგე, 1919-1921 წლებში კი – ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიის ხელმძღვანელი. 1919 წლის მარტში ის ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსნად (დეპუტატად) აირჩიეს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან.

ფარი-ხანუმ სოფიევა

1884-1953

პირველი არჩეული მუსლიმი ქალი დეპუტატი მსოფლიოში

მსოფლიოში პირველი მუსლიმი ქალი, რომელმაც 1918 წლის საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გაიმარჯვა, სოფიევების გავლენიან მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. ფარი-ხანუმი ადრეული ასაკიდანვე ამსხვრევდა მუსლიმი ქალის შესაძლებლობების შესახებ არსებულ სტერეოტიპებს და მალევე სოფლის ლიდერად იქცა. უფროსი თაობა მას „ჩი-ფარად“ მოიხსენიებს, რომელიც „კაცი-ფარს“ ნიშნავს. ეწეოდა ქველმოქმედებას და ეხმარებოდა თანასოფლელების ობლებს, იყო ობოლ ბავშვთა თავშესაფრის გახსნის ინიციატორი, მასვე მიაწერენ სოფელ ყარაჯალარისათვის რკინიგზის ხაზზე სადგურის მოწყობას. მასთან დადიოდნენ რჩევის საკითხავად, იწვევდნენ მომრიგებლად, სოფლის საქმეებისა და დავების გადასაწყვეტად. ფარი-ხანუმი ყოველთვის სამართლიან გადაწყვეტილებას იღებდა, მას სოფელში ყველა პატივს სცემდა.

1918 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ გამართულ არჩევნებში, ფარი-ხანუმი ყარაიაზის ოლქიდან თბილისის მაზრის ერობის დამოუკიდებელი კანდიდატი გახდა.

1918 წლის შემოდგომაზე ქართული პრესა წერდა: „...აღსანიშნავია ერთი ფრიად სამხიარულო [სასიხარულო] მოვლენა; ხმოსანთა რიცხვში შედის ყარაიაზის ოლქიდან წამოყენებული მუსულმანი ქალი, ფარი-ხანუმ სოფიევი. პირველი საერობო ყრილობა დაინიშნა 2 დეკემბერს...“

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ სოფიევების ოჯახი იმის გამო, რომ რეჟიმთან თანამშრომლობის გზა არ აირჩია, „გააკულაკეს“ და ქონება ჩამოართვეს. რეპრესიებს შეეწირა ფარი-ხანუმის სამი ძმა. თავად ფარი-ხანუმი კი ძმისშვილის დაპატიმრების გამო 1951 წელს გულის შეტევით გარდაიცვალა.



ბთ. მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელიც აწარმოებს საერობო
არჩევნებს მაზრაში, ამიერ-კავკასიის ერობის დაწესებულებ. დროებ. დებგენ. მე-77 მუხ.
ძალით ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყარაიაზის ოლქიდან წარმოდგენილია ორი
კანდიდატი სია საერობო ხმოსნების არჩევნებისათვის: პირველი სია — სოც-დემოკრატიულ შუშათა პარტიის შეთანხმებით „გუმეტ-თან“ და მეორე — უპარტიო.

სია შეთანხმ. სოც.-დემ. მუშათა პარტ. „გუმეტ“-თან.

№№ რიგ-რივ	გვარი, სახელი და მამის სახელი	წლოვანობა	რა ხელობისაა ანუ რა სამსახურ.	სადა ცხოვრობ
1	ზოდელავა, ივანე ანტონის ძე	33	მრეწველი	სადგ. ყარაიაზ
2	აღლახვერდი მამედოვი	30	სახალხო მასწავლ.	სურამი
3	ალი გუსეინ ოღლი	40	მეურნე	აგტაკლია
4	აღლახვერდი აჯი ოსმან ოღლი	50	„	ქესალო
5	აბას გუსეინ ოღლი	40	„	კარა-ტაპა
6	კარა ისმაილ ოღლი	35	„	ნაზარლო
7	ციცქიშვილი გიორგი	25	სახალხო მასწავლ.	ყარაიაზი

უ პ ა რ ტ ი ო ტ ა ს ი ა

1	პარი ხანუმ სოფიევი	34		კარაჯალ
2	ლოლაძე, ევსტაფი ივანეს ძე	40	მოქალაქე	ტფილის
3	მაშადი ადი კულიევი	48	მეურნე	„
4	კახაბერი დავით გრიგორის ძე	54	მღვდელი	„
5	მაშად აბდულ მაშ მუსტაფ ოღლი დეანდარ	48	მიწისმზომელი	„

თბილისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.

ფარი-ხანუმ სოფიევა
საარჩევნო სიაში
გაზეთი „საქართველო“,
1918 წელი

ძოლვანე ქალები

მარია პერინი
1873-1939

ბალერინა, ბალეტმაისტერი, ქართული საბალეტო დასის ფუძემდებელი, პედაგოგი

ცნობილი იტალიელი მოცეკვავის, ენრიკო ჩეკეტის, მოსწავლის, მარია პერინის, ცხოვრების გზა საქართველოს 1891 წლიდან უკავშირდება, როცა ტურინის სამეფო საბალეტო სკოლადამთავრებული ახალგაზრდა ქალი საქართველოში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტად მიიწვიეს. ქართველი მაყურებლის წინაშე სწორედ მარიამ შეასრულა პირველად „31 ფუეტე“ და მალევე პრიმა ბალერინად იქცა. 1916 წელს მარია პერინის თაოსნობით თბილისში საბა-

ლეტო სკოლა დაარსდა, რომელსაც შემდგომ „სახელმწიფო თეატრის საბალეტო სკოლა“ ეწოდა.

მარიას მეუღლე ცნობილი მხატვარ-არქიტექტორი ჰენრი ჰრინევსკი იყო, რომელიც ქუთაისში, პოლონელი ემიგრანტების ოჯახში, დაიბადა. მიუხედავად იმისა, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ ის იტალიაშიც ცხოვრობდა, იქვე დაამთავრა ფლორენციის ტექნიკური სასწავლებელი და სამხატვრო აკადემიაში განაგრძო სწავლა, ცხოვრების დიდი ნაწილი სწორედ საქართველოში გაატარა. მისი საქმიანობა ქართული კულტურის განვითარებას დაუკავშირდა.

ჰრინევსკი იყო სამხატვრო აკადემიის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი, მანვე მოხატა სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის (ამჟამინდელი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსი) ინტერიერი. 1912-1914 წლებში მხატვრულად გააფორმა ილია ჭავჭავაძის თხზულებები .

მეუღლესთან ერთად მარიაც აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივ საქმიანობაში. თვლიდა, რომ ქართული კულტურული სივრცისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ქორეოგრაფიული სტუდიის არსებობა. დიდი ძალისხმევა გასწია მარიამ ამ იდეის განსახორციელებლად და ბოლოს მისმა ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო – 1916 წელს მარიამ თბილისში კლასიკური ცეკვების პირველი ქორეოგრაფიული სტუდია გახსნა. მოგვიანებით ის ოპერის თეატრის კლასიკური ცეკვის სახელმწიფო სასწავლებლად იქცა. სწავლის გადასახადი დიდი არ იყო, მაგრამ მარიას მითითებით ხელმოკლე ოჯახის ბავშვებს უფასოდ ასწავლიდნენ. იოსებ გრიშაშვილი წერდა: „მაყურებლის თვალწინ მოჰქროდნენ მოწაფე გოგონები. ყველას ეტყობოდა პერინის მზრუნველი ხელი და სერგეევისა და არბატოვის მხატვრული გემოვნება. ვაჟთა შორის იშვიათი ტექნიკით, ცეცხლით და ტემპერამენტით ცეკვავდა ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელსაც უთუოდ დიდი მომავალი აქვს“.

მარიამ ცხოვრება თბილისში კლასიკური ბალეტის ჩამოყალიბებასა და განვითარებას დაუკავშირა. მისი მოსწავლეები იყვნენ: ვახტანგ ჭაბუკიანი, ნინო რამიშვილი, ილიკო სუხიშვილი, ირინა და დიმიტრი ალექსიძეები, სოლიკო ვირსალაძე და სხვა ცნობილი მოცეკვავეები.

საბჭოთა რეპრესიები საქართველოზე შეყვარებულ ოჯახსაც შეეხო-მარია იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა. იტალიაში დაბრუნებამდე, 1936 წელს, ის ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ შექმნილი ბალეტის, „მზეჭაბუკის“, პრემიერას დაესწრო. დარწმუნდა, რომ ქართული ბალეტის მზე ნამდვილად იწყებდა ამოსვლას.1937 წელს 67 წლის ჰენრი ჰრინევსკი დახვრიტეს. მარია ჯერ ტურინში, შემდეგ კი ნიცაში დასახლდა, სადაც 1939 წელს დის პანსიონში გარდაიცვალა.

ფილმში „ვერისუბნის მელოდიები“ მარია პერინი და მისი მეუღლე მხატვარ-არქიტექტორი ჰენრი ჰრინევსკი ალისა ფრეინდლიხისა და კახი კავსაძის პერსონაჟთა პროტოტიპები იყვნენ.

ნინო რამიშვილის მოგონება მარია პერინზე

„ჩვენ ყველას, მარია პერინის მოსწავლეებს, ნაზი გრძნობით გვიყვარდა იგი და ეს გრძნობა გაგვყვა მთელი ცხოვრების მანძილზე. ეს დიდი გულის ადამიანი, აღჭურვილი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით, ყველას გულითადი და ერთგული მეგობარი გახლდათ. უარის თქმა მისთვის უცხო იყო, მთელი სულით და გულით ეხმარებოდა ყოველ ჩვენგანს“.

ჟურნალი „საქართველოს ქალი“, 1987 წელი

ვახტანგ ჯაბუკიანის მოგონება მარია პერინზე

„მარია იოსების ასული პერინი!... ყველა სიტყვა, თუნდ ყველაზე თბილი და კეთილი, უძლური აღმოჩ-
ნდება მასზე საუბრისას. მან აღზარდა ნიჭიერთა დიდი გუნდი, გადასცა მათ მთელი თავისი ცოდნა.
მოწაფეებმა კი, მიიღეს რა მისგან ეს ძღვენი, განამდიდრეს იგი თავიანთი ტალანტით და შეუდგნენ
დამოუკიდებელ, ნათლით მოსილ ცხოვრებას ხელოვნებაში.

ბედისა თუ განგების წყალობით, მე, 12 წლის ბიჭი, შევეყარე პერინს და ამან კი გადამწყვეტი როლი
შეასრულა მთელს ჩემ შემდგომ ცხოვრებაში. ბალეტს ალბათ ახლოსაც არ გავეკარებოდი, პერინი
რომ არ გამოჩენილიყო ჩემს სავალ გზაზე.

ბავშვობაში ყოველი ჩვენგანი ზიარებია კეთილ, დაუვიწყარ ზღაპრებს. ასეთი სათნო ზღაპრული სამ-
ყაროდან ოდესღაც მოგვევლინა მარია იოსების ასული პერინი და დარჩა ჩვენთან სამუდამოდ.“

ჟურნალი „საქართველოს ქალი“, 1987 წელი

მარია ბაუერის მოგონება მარია პერინზე

„შეუძლებელია საუბრობდე მარია იოსების ასულზე, როგორც პედაგოგზე და არ
თქვა, თუ როგორი სულის ადამიანი იყო იგი. ვწერ ამ სტრიქონებს და სულში შუქი
და სითბო მიდგება, ნათელი მეფინება. ის გვასწავლიდა ჩვენ არა მხოლოდ ბა-
ლეტს, ცეკვას, არამედ სიკეთეს, ადამიანობას. რამდენ სითბოს გვაფრქვევდა, რა-
რიგ ზრუნავდა ჩვენთვის, რუდუნებით უვლიდა ტალანტის უმცირეს ყლორტებსაც კი
და ყველა ჩვენგანში ცდილობდა აღენთო წმინდა ცეცხლის ნაპერწკალი“.

ჟურნალი „საქართველოს ქალი“, 1987 წელი

ნოტიო ლოლუა

1875-1958

პედაგოგი

საზოგადოებაში ქალთა ინტეგრაციის ინიციატორი ნოტიო ლოლუა 1875 წელს ზუგდიდის მაზრის სოფელ ქვალონში დაიბადა. სულ პატარა იყო, მამა რომ გარდაეცვალა და დედამ ჯერ ფოთის, შემდეგ კი ბათუმის კერძო პანსიონში მიაბარა, რომელსაც სამკერვალო სახელოსნოც ჰქონდა: სწავლასთან ერთად ხელსაქმესაც ისწავლისო. პანსიონიდან დაბრუნების შემდეგ ნოტიომ საქსოვი და საქარგი დაზგების შესაძენად 15 თუმანი ისესხა, ირგვლივ ათიოდე ადგილობრივი ქალი შემოიკრიბა და სამკერვალო სახელოსნო გახსნა. ნასესხები ფულით საქმის წამოწყება რთული იყო, მაგრამ სახელოსნომ მალევე გაითქვა სახელი. შეკვეთები დროულად და ხარისხიანად სრულდებოდა, ამიტომ დამკვეთების სიმცირეს არ უჩიოდნენ.

ნოტიოს უნდოდა, სხვა ქალებსაც ჰქონოდათ ხელსაქმის შესწავლის შესაძ-

ლებლობა. თვლიდა, რომ თუ მათ საკუთარი შემოსავალი გაუჩნდებოდათ, უფრო დამოუკიდებლად შეძლებდნენ ცხოვრებას. სწორედ ამ მიზნით მან სახელოსნო ჯერ კერძო ექვსთვიან კურსებად გადააკეთა, შესაბამისი დიპლომის აღების შემდეგ კი – სამწლიან სკოლა-პანსიონად, რომელსაც „ნოტიო ლოლუას პროფესიული კერძო სასწავლებელი“ დაარქვა. ის ხელმოკლე ოჯახების შვილებს უფასოდ ასწავლიდა.

ჭრა-კერვის, ქარგვისა და ქსოვის გარდა, სასწავლებელში ქართული ენა, ლიტერატურა, არითმეტიკა, საღვთო ისტორია და სხვა საგნებიც ისწავლებოდა. პანსიონმა თავისი არსებობის განმავლობაში 500-მდე კურსდამთავრდებული გამოუშვა. ნელ-ნელა იცვლებოდა ქალების დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი, ისინი მეტად გაბედულები და დამოუკიდებლები ხდებოდნენ, თავადვე ხსნიდნენ სახელოსნოებს სხვადასხვა სოფელში. 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ნოტიო ლოლუას პანსიონი დახურა და იქ საფაბრიკო სკოლა გახსნა.

პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, ნოტიო ლოლუა იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ფოთის განყოფილების წევრი და აქტიურად ერთვებოდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. ნოტიო ლოლუას მიერ ოქრომკედით ნაქარგი უნიკალური ექსპონატები 1936 წლიდან დაცულია ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ის გარდაიცვალა 1958 წელს, დაკრძალულია თავისი ძმის, ძუკუ ლოლუას (მუსიკოსი, ლოტბარი), გვერდით, ქალაქ ფოთში.

იოსებ არიმათიელის მოგონება ნოტიო ლოლუაზე

„მადლიანი ადამიანი ნ. ბ. ლოლუას ასული

რა ეშველებოდა სულიერად დაჩიებულ, რწმენაგამქრალ ადამიანს, რომ სიცოცხლის განახლების ნიშნად აგერ-იგერ ია-ვარდი არ ამოჰყოფდეს თავს და ნივთიერად გახრიოკებულ ქვეყანას თვითშემოქმედი ადამიანნი არ გამოუჩნდებოდენ ხოლმე!

ასეთ ადამიანებს არ უყვართ ყვირილი, შარაზე გამოსვლა და მოკრძალენი არიან ისევე, ვითარცა ბუჩქის ძირას აღმოცენებული ია, ისევე მორიდებული, დამალული, როგორც დედამიწის გულის სიმდიდრე, და ამიტომაც ჩვეულებრივი თვალი მათ ვერ ამჩნევს. ესენი უნდა სძებნოთ... არიან კი ასეთი ადამიანები, ჩვენი ქვეყანა არც ისეა გამოფიტული გრძნობა-გონებით, როგორც ზოგიერთს მიუჩნევია...

ერთი ასეთთაგანია სამეგრელოს ასული ნოტიო ლოლუა, რომლის პირადი შრომა-ღვაწლით დღეს ფოთში ქალთა მშვენიერი პირველი კერძო პროფესიონალური სკოლაა საქალებო პროგიმნაზიული კურსით (ჯერ სამი კლასია, მალე მეოთხეც მიემატება).

ლოლუას ასული ყველაზე მეტად იმითია შესანიშნავი, რომ თანამედროვე მაღალ სასწავლებელში სწავლა არ მიუღია, — უსწავლია მხოლოდ თბილ. ხელსაქმის დაბალ სკოლაში და შემდეგ თავისით განვითარებულა, ამაღლებულა და მადლსა თავისსა უხვად ჰფენს მშობელ ერში.

თითქმის ოცი წელიწადია, რაც ლოლუას ასულმა გააღო პირველი სახელოსნო სკოლა. პირველად ეს სკოლა სამი განყოფილებისგან შესდგებოდა და უმთავრესად ღარიბ-ღატაკთა შვილებს ასწავლიდა. თვით ქ-ნი ლოლუა ობლობა-სიღარიბეში იზრდებოდა და იცოდა, ვის უფრო უნდა მიხმარებოდა. მისი ზნეობრივი წამქეზებელი იყო ნიკო ნიკოლაძე, ლეონიდ ეპისკოპოსი და სხვა. მაგრამ ნივთიერი დახმარება მაინც ძლიერ ნაკლები ჰქონდა. შვიდიოდე წლის წინად შეიძინა საქსოვ საფეიქრო მანქანები, — ისიც მოლოზნისაგან[მონაზვნისგან] მიბარებულ თხუთმეტი თუმანით და ასე ნელინელ გაიზარდა სკოლა. ამჟამად სკოლა მოთავსებულია მისს და მისი ძმის ძუკუ ლოლუას საკუთარ სახლში, შეიცავს სამს კლასს სახელოსნო განყოფილებით. მოწაფე ყავს ასამდე, მასწავლებელი თორმეტამდე. თვიური ხარჯი თითქმის 11000 მანეთი უწევს. მასწავლებელნი იღებენ ძლიერ მცირე ჯამაგირს. კლასები გაყინულია უშეშობით. აქ შეუმჩნევლად შევესწარ და მოვისმინე გაკვეთილები. გაკვეთილი დაიწყო გალობით, რამაც უზომო სასოება მომფინა, ანგარიშის გაკვეთილი იშვიათად შემხვედრია ასეთი ხალისიანი ყურადღებით მოცული. ბუნე-

ნოტიო ლოლუა
მოწაფეებთან ერთად

ბის მეტყველების გაკვეთილი ერთსა და იმავე დროს იყო ახსნა საგნის, სიტყვათა სხვადასხვა ენით გადაცემა და მათთან დაკავშირებულ შესანიშნავ ადამიანთა ვინაობა-ნაღვაწის გაკვრით განმარტება; გვირგვინი ყველა ამისა თვით ნოტიო ლოლუას ხელით ნაქარგ ნამუშევარი: სკოლის შესავალ დარბაზში კედელზე ფრიალებს ეროვნული დროშა თეთრი გიორგის ღერბით, ამოქარგული, მეორე დარბაზს ამშვენებს შოთას, თამარის, ვეფხისტყაოსნის მირთმევის, ხარების და სხვ. მრავალ სურათთა, ნაქარგი საუცხოო და იშვიათი ხელოვნებით. მათი ოსტატი ხელოსანი კი არა, ნამდვილი ხელოვანი ყოფილა და ესაა ნოტო ლოლუას ასული. ნაქსოვი საქონელი – შალეული, ტილოები, ჩულქები და სხვა გამოფენაზე და ბაზარში იყიდება.

ლოლუას სკოლას დღემდე ჯერ მხოლოდ სამასი ისეთი ქალი მოუმზადებია, რომელნიც მასწავლებლად არიან აქა თუ იქ, ან საკუთარი სახელოსნოები აქვთ გურია-სამეგრელოს სხვადასხვა სოფელში.

მოწაფენი ჰყავს გურია-სამეგრელოდან და ქართლ-კახეთიდანაც კი. და ასეთ სკოლას ძლიერ მცირე შემოსავალი აქვს.

სკოლას იანვრიდან ერობამ აღუთქვა თვიურად 4000 მანეთი. ქალაქმა 100 მანეთი. ეს არის და ეს, დანარჩენს ხარჯს სკოლის გამგე საკუთარის შრომით ფარავს.

აუცილებელი და დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამ სკოლის საქმიანობას ყველა იმათგან, ვისაც ჭეშმარიტად სწამს ჩვენის ერის სულიერ-ნივთიერი აღორძინება.

დაე, გაუმრავლდეს ჩვენს ქვეყანას ისეთი მადლ მოსილი ადამიანები, როგორიც ქ-ნი ნოტო ლულუას ასულია!

ჩვენის მხრით ამ მუშაკთ, – ქ-ნ ლოლუას და მის თანაშემწე მასწავლებელთ, რომელნიც აგეთის მუყაითობით და მხნეობით ემსახურებან ჩვენის ქალების თვითმოქმედება განვითარების საქმეს, ვუსურვებთ წარმატებასა და გამარჯვებას“.

იოსებ არიმათიელის წერილი,
ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“,
1920, #11.

ელენე-ჩერი

ჩერქეზიშვილი

1884-1915*[8]

მოცეკვავე

„დაბადებული საქართველოში, ელი ჩეროვი (ჩერქეზიშვილი) პირველი ქართველი ქალია, რომელმაც სძლია ცრუ შეხედულებას თავის ქვეყნისას და გამოვიდა საცეკვაოდ სცენაზე“. – (ფრანგული გაზეთი Comoedialllustré, №10) – ასე იხსენიებდნენ ჩერქეზიშვილის ასულს, რომელმაც ყველა მანამდე არსებული ჩარჩო დაანგრია და თავისი განუმეორებელი შესრულებით მსოფლიო პრესა აალაპარაკა.

კახეთში, სოფელ თოხლიაურში, დაბადებული და ადრეულ ასაკში დაობლებული გოგონა ძმასთან ერთად თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. იმპროვიზაცია და ცეკვა ბავშვობიდანვე ეხერხებოდა, თუმცა მისი ინსპირაციის წყარო თბილისში იმ დროს საგასტროლოდ ჩამოსული აისიდორა დუნკანის სასცენო შესრულება გახდა. ელენეს ბევრი არ უფიქრია, გადაწყვეტილება მყისიერად მიიღო, მოსკოვს გაემგზავრა და კნიპერ-რაბენეკის პლასტიკის სკოლაში ჩააბარა. ორი წლის შემდეგ ის

[8] გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია.

უკვე რუსი მოცეკვავის, ელენე არიშევას, ანტიკური საგუნდო ცეკვის დასის წევრი იყო, რომელთან ერთადაც 1911 წლის მაისში თბილისსაც ეწვია. გაზეთი „თემი“ წერდა: „ჩერქეზიშვილის ასულმა ცეკვის ისეთი ნიჭი გამოიჩინა, რომ მას უკვე დაარქვეს „ქართველი დუნკანი...“

ელენემ თავისი საცეკვაო რეპერტუარი ქართული ფოლკლორისა და ხალხის ყოფა-ცხოვრების გამომსახველი სცენებით გაამდიდრა. განსაკუთრებულ აღფრთოვანებას იწვევდა მისი შესრულებული „საჭიდაო“, რომელშიც „ბიჭურ ფორმაში“ ჩაცმული ახალგაზრდა ქალი საოცარ ილეთებს ასრულებდა სცენაზე.

1912 წელს ელენე ჯერ ბელგიაში, შემდგომ კი გერმანიაში გაემგზავრა, სადაც პოლ ჟორჟთან ერთად მონაწილეობა მიიღო სპექტაკლში „თავადის აღზრდა“. მალევე ის პარიზში თეატრ „იმპერიალის“ დირექტორმა პოლ ფრანკმა მიიწვია. გახარებული ელენე თავის თბილისელ მეგობარს სწერს: „პირველ რეპეტიციაზე „იმპერიალის“ დირექტორის წინ მე ისე კარგად ვითამაშე, რომ მაშინათვე იმან კონტრაქტზე ხელი მომაწერინა. ჯერ-ჯერობით ჩემი საქმე მშვენივრად მიდის“.

მისი შემოქმედებითი ცხოვრება მართლაც „მშვენივრად“ მიდიოდა. წინ ელისეის თეატრი „ფემინე“ ელოდა, რომლისთვისაც „ქართველი დუნკანი“ ნამდვილი აღმოჩენა გახდა. „აღელვებული ვიდექი და რიგს ველოდებოდი, და ბოლოს შემომესმა კონფერანსიეს ხმა, რომელიც ჩემს ცეკვას კავკასიონის მთებზე ასვლას უკავშირებდა, სცენისკენ მიბიძგეს. ისე გამიტაცა ჩაიკოვსკის მუსიკაში ჩვენი იავნანას მელოდიამ, რომ მეგონა ხელში მართლა მეჭირა ბავშვი, რომელსაც ნანას ვუმღეროდი, ვეთამაშებოდი და გაღვიძების შიშით ფეხის თითებზე დავსრიალებდი. მქუხარე ტაში არ ცხრებოდა, მაყურებელს ბისზე გამუდმებით გავყავდი. სპექტაკლის შემდეგ ახალგაზრდების ჯგუფი „იავნანას“ უსტვენდა“. – წერდა მაყურებლის ყურადღებით აღფრთოვანებული ელენე.

პარიზული პრესა აჭრელებული იყო ქართველი ქალის ფოტოებითა და მასზე დაწერილი რეცენზიებით. ჟურნალი „ლამონდ ილუსტრე“ ფრანგებს მოუწოდებდა: „ყოველი მხატვარი, მოქანდაკე, ნამდვილი არტისტი უთუოდ წავა ნახოს და ტაში დაუკრას დიდებულ მოცეკვავე ქალს – ელი ჩეროვას, ყველა, ვისაც უყვარს მიმიკა და პლასტიკური ხელოვნება“... ჟურნალი „La Graffe“: „ელი ჩეროვა (ჩერქეზიშვილი) თავის გასაოცარი ცეკვით იპყრობს თვალს და ჰხიბლავს გრძნობას. ელი ჩეროვა ბუნებით უხვად დაჯილდოვებულია, იგი შორს წავა: იგი ნამდვილი არტისტია.“

მიუხედავად ბევრი შემოთავაზებისა, მათ შორის, ინგლისსა და ამერიკაში, ელენემ გათხოვების შემდეგ მათზე უარი თქვა და სცენას სამუდამოდ ჩამოშორდა.

გიორგი გვაზავას მოგონება ელენე ჩერქეზიშვილზე

„დიდებული ქართველი მოცეკვავე“ (LA GRANDE DAUSCUSE GEORGIONNE“)

„ჩვენმა თანამემამულემ, ელენე ჩერქეზიშვილმა, ამ მოკლე დროში მოიხვეჭა დიდი სახელი, როგორც განსაკუთრებით ნიჭიერმა მოცეკვავემ. პარიზის თითქმის ყველა გაზეთი იმის ქებაშია.

აი, რას სწერს Comoedia Illustré (№ 10): „დაბადებული საქართველოში, ელი ჩეროვი (ჩერქეზიშვილი) პირველი ქართველი ქალია, რომელმაც სძლია ცრუშეხედულებას თავის ქვეყნისა და გამოვიდა საცეკვაოდ სცენაზე. ცნობილი მოცეკვავის, მარშევის, მოწაფემ, ელი ჩეროვმა, პირველად უფრო სახელი გაუთქვა თავის მასწავლებელს, რომელთან ერთად მან შემოიარა ერთი ნაწილი რუსეთისა და ყველგან აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. ცოტა ხანი დაჰყო მან ანვერში, სადაც ცეკვავდა პოლ ჟორჟის თეატრში. შემდეგ ეს ნარნარი ბალერინა მიიწვია ბ. პოლ ფრანკმა თეატრ „იმპერიალში“, სადაც ყოველ საღამოს პარიზის რჩეული საზოგადოება აღტაცებაში მოდის ხოლმე მისი თამაშით.

„ქ-ნი ელი ჩეროვი ნამდვილი არტისტია ბუნებით, გატაცებულია ხელოვნებით, რომელიც მას ნებას აძლევს გამოააშკარავოს უცხო მშვენიერება კავკასიელ ქალებისა; მას აქვს განზრახვა ცეკვით და მოძრაობით დაასურათოს ლექსები და გადმოცემანი ძველი კოლხიდისა. მისი ცეკვა, თავისებურ არ-

ტისტულ ხასიათისა, შემოქმედებაა ნამდვილ ნიჭიერებისა და სიმპატიურ არტისტ-ქალს მოელის საზოგადო ენთუზიაზმი...

...პარიზში სახელის მოხვეჭა ძალიან ძნელია და თუ ელენე ჩერქეზიშვილმა იქაც გზა გაიკაფა, ამის მიზეზი მარტო ცეკვა კი არ არის: ამისთვის საჭიროა, თუნდაც რომ ძალიან ხელოვნურად კიდევ შემოქმედების თავისებური ნიჭი. სწორედ ეს ნიჭი გამოიჩნა ელენე ჩერქეზიშვილმა და ამით მიიქცია ყურადღება არტისტების და საზოგადოებისა. აი, რაში იხატება ეს ნიჭი: ჩერქეზიშვილი იღებს უბრალო ხალხურ სიმღერას, ზღაპარს, გადმოცემას და ცეკვით ასურათებს და აფერადებს მათ შინაარსს. სწორედ ამ დასურათებაში იხატება მისი შემოქმედებითი ნიჭი. პარიზის საზოგადოება ძლიერ განვითარებულია და უბრალო ცეკვით, თუნდაც რომ ძალიან ხელოვნურად იყოს ასრულებული, იმას ვერ გაიტაცებს. მაგრამ იგივე საზოგადოება დიდის ყურადღებით ექცევა, როცა შეამჩნევს ფსიხოლოგიურ სურათს სხვადასხვა ცხოვრებისას, სხვადასხვა ერისას.

ელენე ჩერქეზიშვილმა შესძლო, გამოეხატა სწორედ ეს სურათები ჩვენი ცხოვრებიდან, სულის მოძრაობა ჩვენი ერისა. ქართულ „ნანას“, „აიდა გოგონას“, ქართულ ჭიდაობას და ამისთანა სხვას, ცეკვით გადმოცემულს და განსახიერებულს, დიდს აღტაცებაში მოჰყავს თურმე საზოგადოება პარიზში.

ჩვენ გულწრფელად ვუსურვებთ სრულს გამარჯვებას ჩვენს ნიჭერ თანამემამულეს“.

გ. გვაზავას წერილი, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1914 წელი

ოლღა ბახუტაშვილი-შულგინა

1879-1950

ერთ-ერთი პირველი ქართველი
საოპერო მომღერალი ქალი,
დრამატული სოპრანო,
ქართული ვოკალური სკოლის
ერთ-ერთი დამფუძნებელი,
პედაგოგი, მკვლევარი

პირველი ქართველი პროფესორი ქალი ვოკალის დარგში, ოლღა ბახუტაშვილი-შულგინა, გუბერნიის ექიმის ოჯახში დაიბადა. ოჯახში ხშირად ეწყობოდა მუსიკალური საღამოები, რადგან ერთი და, ნინო, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრის დოცენტი იყო, მეორე, ზინაიდა-პიანისტი და კონცერტმაისტერი, ძმები კი, არჩილი და გიორგი, შესანიშნავად მღეროდნენ. ასეთ გარემოში გაზრდილი უმცროსი შვილისთვის, ოლღასთვის, მუსიკა ყველაზე საყვარელ საქმიანობად იქცა. ერთ-ერთ საღამოზე სტუმრად მოსულმა პროფესორმა ი. მატროვსკიმ ოლღას ვოკალური მონაცემები შეამჩნია, ჯერ თავად ამეცადინა ფორტეპიანოში, შემდეგ კი ევგენი

ოლღა
ბახუტაშვილი-შულგინა

რადიანოვისთვის მისი ჩვენება გადაწყვიტა. მანაც, ოლღას მუსიკალური მონაცემებით მოხიბლულმა, მაშინვე მოსწავლედ აიყვანა ახალგაზრდა ქალი.

ჯერ კიდევ მუსიკალურ სასწავლებელში სწავლის დროს გამოდიოდა ოლღა კონცერტებზე და სხვადასხვა ოპერიდან ნაწყვეტებს ასრულებდა. თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე მისი დებიუტი 1901 წელს, მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე კი 1904 წელს შედგა. სწავლობდა პარიზში პროფესორ ტეკისთან, შემდეგ მილანში – ვიდალთან და ცნობილ ტენორ ჯუზეპე ბროჯისთან. მუშაობდა მოსკოვის საზაფხულო თეატრში „აკვარიუმი“, ასევე კიევისა და ოდესის ოპერის თეატრებში. მისი კონცერტები იმართებოდა თბილისში, ბაქოში, ხარკოვში, ყაზანში, კისლოვოდსკში, ეკატერინბურგსა და სხვა ქალაქებში. შესრულებული აქვს ტატიანას, ლიზას, იოლანტას, მარიას პარტიები ოპერებში: „ევგენი ონეგინი“, „პიკის ქალი“, „იოლანტა“, „მაზეპა“, თამარის პარტია – ა. რუბინშტეინის „დემონში“, აიდას პარტია – ჯ. ვერდის „აიდაში“ სხვ.

1917 წელს საქართველოში დაბრუნებულმა ოლღამ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიწყო სასცენო მოღვაწეობა. დიმიტრი არაყიშვილის მიერ პროფესიულ სცენაზე დადგმულ პირველ ქართული ოპერაში „თქმულება შოთა რუსთაველზე“ – გულჩინას, ა. რუბინშტეინის „დემონში“ – თამარის, ზაქარია ფალიაშვილის ოპერაში „აბესალომ და ეთერი“ კი ეთერის პარტიები შეასრულა.

ოპერის
„აბესალომ და ეთერი“
პრემიერა

1921 წლიდან ის თანდათან ჩამოსცილდა სცენას და თბილისის კონსერვატორიაში პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო. აღზარდა ვოკალისტთა მთელი თაობა: პეტრე ამირანაშვილი, ივანე ფალიაშვილი, ეკატერინე სოხაძე, ნადეჟდა ცომაია, პავლე კანდელაკი და სხვა. მისი ინიციატივით თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩამოყალიბდა პირველი ვოკალურ-სამეცნიერო წრე, იყო კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის დეკანი, არაერთი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის ავტორი. ოლღა ბახუტაშვილი-შულგინა იყო პირველი ქართველი მომღერალი ქალი, რომელსაც საქართველოს სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა, ასევე პირველი ქართველი პროფესორი ვოკალის დარგში. ოლღა ბახუტაშვილი-შულგინა გარდაიცვალა 1950 წელს.

ქალი ღამბაშიძე

1899-1975

უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი

მედეა ღამბაშიძე 1918 წელს ახლად გახსნილი თბილისის უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი იყო, მედეას დედა, ვანდა ჰოპე-ღამბაშიძე, კი – უნივერსიტეტის ინგლისური ენის პედაგოგი. მედეას მამა, ვახტანგ ღამბაშიძე, ცნობილი ექიმი, უნივერსიტეტის ჰიგიენის კათედრას ხელმძღვანელობდა. ვახტანგის მამას, დავით ღამბაშიძეს, „დიდ დეკანოზად“ მოიხსენიებდნენ თანამედროვეები. იგი 27 წლის განმავლობაში ჟურნალ „მწყემსის“ გამომცემელ-რედაქტორი იყო. ღამბაშიძეების ოჯახთან მეგობრობდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, რომელიც გახლდათ მედეას ნათლია.

მედეა იყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაარსებული პირველი ქართული სატანვარჯიშო სპორ-

ტული საზოგადოების „შევარდენი“ აქ-ტიური წევრიც.

პირველი სტუდენტური ბარათის მფლო-ბელ ქალს უნივერსიტეტი არ დაუსრუ-ლებია. 1919 წელს ინგლისური ენის შე-სასწავლად ბიძასთან წავიდა ინგლისში. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპა-ციის გამო კი ოჯახი ემიგრაციაში გაემგ-ზავრა.

სამწუხაროდ, მედეა ღამბაშიძე საქარ-თველოში ვეღარ დაბრუნდა, როგორც მისი შვილი რევაზ ნიკოლაძე იხსენებს, უნივერსიტეტის 50 წლის იუბილეზე და-სასწრებად დედა მიიპატიჟეს, მაგრამ საბჭოთა რეჟიმის გამო ჩამოსვლა ვერ მოუხერხებია.

მედეა ღამბაშიძე დედასთან
ვანდა ჯოჯუ-ღამბაშიძესთან ერთად

მედეა ღამბაშიძის მოგონება

მედეა ღამბაშიძის ასული-ნიკოლაძისა (ჩემი დღიურიდან)

26 იანვარს, 1918 წელს, პირველ საათზე, დიდი ზეიმით გაიხ-სნა ქართული უნივერსიტეტი. აუარებელ საზოგადოებას ვე-ღარ იტევდა ქართული უნივერსიტეტის შენობის კედლები...

1928 წელს უნივერსიტეტმა გამოსცა წიგნი – „თბილისის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტი 1918–1928 წ.“

მახსოვს, როგორ მესიამოვნა, როდესაც ამ წიგნაკში ამო-ვიკითხე შემდეგი: „პირველი მსმენელი, რომელმაც განც-ხადება შემოიტანა უნივერსიტეტში შემოსვლის შესახებ და თანაც მისი ასი მანეთი სწავლის ფული გადაიხადა, იყო მე-დეა ღამბაშძე“-ო.

მას შემდეგ გავიდა 40 წელი და კიდევ მივიღე ცნობა, რომ 50 წლის თავზე გამოსულ წიგნში და გაზეთებშიც კვლავ მა-სახელებენ. შემიძლია ვიამაყო ამით და ვამაყობ კიდეც.

საფრანგეთში მყოფ ქართველ მწერალთა და ჟურნალის-ტთა კავშირის თხოვნისამებრ, ვცდილობ გავიხსენო ცოტა რამ თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. საუბე-დუროდ, მხოლოდ ერთი წელიწადი გასტანა უნივერსიტეტ-ში ჩემმა ყოფნამ, ვინაიდან 1919 წელს მომეცა შემთხვევა

თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ჩავსულიყავი ინგლისს, ბიძაჩემთან, ინგლისური ენის შესასწავლად და ვერაფერ საგულისხმოს ვერ ვიტყვი, გარდა იმისა, რაც ამოვიკითხე ჩემ დღიურში:

ჩავეწერე სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე; მახსოვს, მინდოდა ყველა ლექციის მოსმენა; აკაკი შანიძის ლექციით დავიწყე; მისივე რჩევით დავიწყე სომხური ენის სწავლა, მაგრამ სამი გაკვეთილის შემდეგ დავტოვე, გადავედი არაბულზე. ბატონ გიორგი ახვლედიანთან ვისმენდი და დავიწყე სანსკრიტის სწავლა; ძალიან მომწონდა ლურსმნული წერა. მახსოვს კიდევ ბატონი შალვა ნუცუბიძის სიცოცხლით სავსე ლექციები ფილოსოფიაზე და დიტო უზნაძის ნაზი, საინტერესო ლექციები ფსიქოლოგიაზე. ვისმენდი აგრეთვე ბატონი ივანე ჯავახიშვილის ლექციებს საქართველოს ისტორიის შესახებ.

ყოველ დღე საღამოს 5–9 საათამდე დავიარებოდი უნივერსიტეტში. მახსოვს, დასაწყისში წიგნები არ გვქონდა და ყველა ლექცია უნდა ჩაგვეწერა, ვინაიდან მე ვახერხებდი ლექციის ჩქარა ჩაწერას, დიდი ნაწილი სტუდენტებისა შემომეხვეოდა ხოლმე 9 საათის შემდეგ და ყველა მთხოვდა, მათთვის წამეკითხა ჩემი ჩაწერილი ლექციები...

ერთ ადგილზე ამოვიკითხე ჩემ დღიურში: „ძალიან კმაყოფილი ვარ უნივერსიტეტში წაკითხული ლექციებით, მაგრამ თვით მსმენელები სრულებით არ მომწონან. ყველა – ახალგაზრდა, მოხუცებული, მღვდელი, ოფიცერი, „ჩინოვნიკი“ – ყველა მსმენელია. სჯობდა მხოლოდ ახალგაზრდებს მოეყარა თავი, უფრო სერიოზულად და უფრო თავისუფლად ვისწავლიდით...

დასასრულ, არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ ინგლისური ენის ლექტორად დანიშნული იყო დედაჩემი ვანდა ღამბაშიძისა და ჰიგიენის ლექტორად – მამაჩემი, ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე.

სიკვდილამდე ვინანებ, რომ მივატოვე უნივერსიტეტი ქართული... უცხო ენის შესასწავლად...“

მედეა ღამბაშიძის მოგონება უნივერსიტეტში სწავლის შესახებ, გურამ შარაძის წიგნიდან „უცხოეთის ცის ქვეშ“, 1993 წელი



ევა ბრუნელი

1887-1927

პირველი
დირიჟორი ქალი
საქართველოში,
მთელ რუსეთის
იმპერიაში,
ერთ-ერთი პირველი
მსოფლიოში

„მსოფლიოში ერთადერთი სიმფონისტი დირიჟორი ქალი მისს ევა ბრიუნელი, ვინც ჩნდება კონცერტებზე ბრიუსელში, რომში და ევროპის სხვა მუსიკალურ ცენტრებში“ – წერდა გაზეთი St. Louis Post-Dispatvh (1922 წლის 5 მარტი) საქართველოში დაბადებულ ქალზე, რომელმაც მსოფლიოს დირიჟორი ქალების სიაში წამყვანი ადგილი დაიკავა.

მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი დირიჟორი ქალი ევა ბრუნელი, მამით იტალიელი და დედით სანახევროდ ქართველი, 1887 წელს დაბა მანგლისში დაიბადა. იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სახელობის თბილისის ქალთა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუსიკალური განათლება რომის კონსერვატორიაში მიიღო.

1914 წელს თბილისის „ახალ კლუბში“ უძღვებოდა სიმფონიური მუსიკის კონცერტებს, რომელთა სოლისტიც ვანო სარაჯიშვილი იყო. „ჩემს მომაჯადოებელ სოლისტს, ივანე პეტრეს ძე სარაჯიშვილს, ევა ბრიუნელისაგან, 1914 წელი“ – ვკითხულობთ სამახსოვრო ფოტოზე, რომელიც ევამ ვანო სარაჯიშვილს უსახსოვრა.

1914 წელს ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ ცნობით, მუსიკოსმა კახეთში იმოგზაურა და ხალხური სიმღერები ჩაწერა.

1920-იან წლებში ევა ოჯახთან ერთად ემიგრაციაში გაემგზავრა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება მისი სადირიჟორო გამოსვლები ევროპის სხვადასხვა ქალაქში. ბერლინის ფილარმონიული ორკესტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალიდან ირკვევა, რომ ბრუნელი იყო პირველი დირიჟორი ქალი, რომელმაც 1923 წლის 8 ნოემბერს უდირიჟორა სრულ საკონცერტო პროგრამას ბერლინის ფილარმონიულ ორკესტრთან. ევას გამოსვლებს უცხოური პრესა აშუქებდა. სამწუხაროდ, საქართველოში მისი მოღვაწეობის შესახებ საკმაოდ მწირი ცნობებია შემონახული.

გარდაიცვალა 1927 წლის 22 თებერვალს 40 წლის ასაკში ქალაქ პარიზში.

ვინმე ა-კო-ს წერილი ევა ბრუნელის შესახებ

ევა ბრუნელი, როგორც სიმფონიურ კონცერტების ლოტბარი

შემთხვევით დავესწარი ევა ბრუნელის დირიჟორობით გამართულ კონცერტს. უნდა გამოვტყდე, წინასწარ „მომზადებული“ ვიყავი, როგორც გაზეთებით, ისე ნაცნობთა აზრით, უარყოფითი შეხედულება მქონდა. ეს კიდევ არაფერი. ჩვენ, მამაკაცებს, ქალის ასეთ ასპარეზზე გამოსვლა სასაცილოდ არ გვყოფნის... ეს მეტისმეტად სერიოზული საქმეა და ამ სერიოზულ დარგში, „სერიოზული“ მამაკაცის გარდა, ვერავინ წარმოგვიდგენია. ქალების „დირიჟორობა“ კაფე-რესტორნების ესტრადას არ გასცილებია და გასაკვირველიც არ არის, რომ ასეთი შეხედულება გვქონდეს.

უნდა აღვიარო, სრულებით არ მოველოდი ამ დიად მოვლენას, ვამბობ, დიადს, რადგან მგონია, ეს ერთადერთი ფაქტია, რომ ქალი მოსულიყოს ასეთ პასუხსაგებ როლში სერიოზული მომზადებით და დიდის გემოვნებით (აქ მე მხედველობაში არ მყვანან როიალსა და სხ. სამუსიკო საკრავებზე დამკვრელები, ეს დარგი გაცილებით ადვილია).

ევა ბრუნელი რომ მუსიკის სერიოზული მცოდნეა, ამას მოწმობს მისი სიმფონიური კონცერტების პროგრამა, რომელშიაც გამოკრთის იმისი შეხედულება მუსიკალურ ნაწარმოებზე და სიმპატია გლიუკის, ბეთჰოვენის, ლისტის,

ბერლიოზისა და სხვა კლასიკებიდან მოყოლებული თვით ახალ მიმართულების კომპოზიტორებამდე – გრიგის, დებიუსის, რაველის, ვერსენის და სხვათა ნაწარმოების შესრულებით. ევა ბრუნელის ნიშ-ნობლივი თვისება, როგორც დირიჟორისა, ლირიკული განცდაა, ის ნაზია, სათუთი, ნამდვილი ქალური თვისებების გამომხატველი, და ფაქიზი ტემპერამენტით ხელმძღვანელობს ორკესტრს; მასში მძლავრი მამაკაცური ექსპრესია არ არის... მისი ექსპრესია მძლავრ-ნაკვთობას არ გაგრძნობინებთ, თითქოს ცივი არის, მარმარილო... და სწორედ ეს არის მისი განსაკუთრებული თვისება... ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ქალის ბუნება, როდესაც ის დიად საქმეს ჰკიდებს ხელს, როცა საჭიროა სხვისი შემოქმედების განსახიერება, ემორჩილება გონებას. მისი შემოქმედება ამ შემთხვევაში გონებით უფრო საზრდოობს, ვიდრე გრძნობით, გრძნობა ამ დროს ხელის შემშლელია, დამაწვრილმანებელი... მაგალითები ასეთი ხელოვნების ბევრია, საკმარისია დავასახელოთ იზიდორა დუნკანი, ძველი საბერძნეთის და ანტიკური როკვის აღმმადგენელი და ვანდა ლანდოვსკა, ძველ მუსიკოსთა შემოქმედების ნათელმყოფელი კლა-ვესინის საშუალებით.

ევა ბრუნელი თუ შუათანა მაყურებელ-მსმენელზე შთაბეჭდილებას ვერ სტოვებს, ეს იმის ბრალია, რომ მას, ევა ბრუნელს, არა აქვს შესწავლილი „დირიჟორობის თეატრალური ჯოხის ქნევის მანერა“ და შუათანა მსმენელ-მაყურებელს ეს დირიჟორის ნაკლი ჰგონია. ევა ბრიუნელი პირველი სათვალჩინო მერცხალია ამ დარგში და რაც უნდა სუსტი იყვეს, თუმცა სისუსტე მისი ვერ დავინახე. მაგალითად, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ზოგიერთ უფრო მცოდნე პირებზე გრიგის ნაწარმოების შესრულე-ბამ: დილა, განსვენება აზასი და სხვა... ვიტყვით თამამად ეს ნაწარმოები ევა ბრიუნელიმ თბილისში სხვებზე უკეთ გადმოგვცა, უფრო ფაქიზად და ნაზი განცდით ევა ბრიუნელის ტემპერამენტი თავისებურ დაღს ასვამს ნაწარმოებს. მისი ნამუშევარი ძვირფას – სადა ქსოვილს მოგვაგონებს; ევა ბრიუნელი თამამად შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ ხელოვანად.

ევა ბრიუნელიმ თბილისს გააცნო მრავალი უცხო კომპოზიტორის ნაწარმოებნი, რომელიც აქ ან სულ არა, ან იშვიათად მოუსმენიათ. ევა ბრუნელი, ვითარცა ნასწავლი, განვითარებული მუსიკოსი ქალი - ლოტბარი, სასიხარულო მოვლენაა“.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1914, N2

ნინო-ნუცა ჩხეიძე

1881-1963

მსახიობი

სცენაზე გამოსვლის დღიდანვე ნინო (ნუცა) ჩხეიძე ქართული სცენის წამყვანი მსახიობი იყო. მას სკოლაში არასოდეს უსწავლია, წერა-კითხვა ოჯახში შეისწავლა, რადგან მამა ბავშვის გიმნაზიაში სწავლის წინააღმდეგი იყო. იზრდებოდა თეატრალურ წრეში, იყო თვითნასწავლი.

1894 წელს, მაშინ, როცა ნინო ჩხეიძე პირველად გამოჩნდა ქუთაისის სცენაზე, თეატრად ქალაქის ცენტრალურ ბაღში აღმართული პავილიონი ითვლებოდა. უფროსი დის, მაშოს, ავადმყოფობის გამო კოტე მესხის დასში შემთხვევით მიღებული როლი მისთვის თეატრალური კარიერის დასაწყისად იქცა. იმხანად ქუთაისს თურმე ვლადიმერ მესხიშვილი

სტუმრობდა, რომელმაც სპექტაკლის ნახვის შემდეგ გოგონას დიდი წარმატება უწინასწარმეტყველა.

1896 წელს, მეორე ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით, ნინოს ლადო მესხიშვილის დასში ქალის დრამატული როლის შემსრულებელი მსახიობის არყოფნის გამო მთავარი როლები შეხვდა და დასთან ერთად იმოგზაურა ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ბაქოსა და ყარსში. მალევე ნიჭიერი მსახიობი ვასო ბალანჩივაძემ შეამჩნია და სპექტაკლში „უბედური ნაბიჯი“ ვარვარა პეჩორინას როლი შესთავაზა, რაც იქცა კიდეც ნინო ჩხეიძის წარმატებული სასცენო მოღვაწეობის დასაწყისად.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო... ნინოს დედაქალაქი, ვ. აბაშიძის, კ. მესხისა და კ. შათირიშვილის რეჟისორობით დადგმული სპექტაკლები, თბილისის დასი და თავბრუდამხვევი წარმატება ელოდა. მის გამოჩენას სცენაზე მაყურებელი დღესასწაულივით ელოდა. მიუხედავად იმისა, რომ ნინო ჩხეიძემ 1909 წლიდან, ათი წლის განმავლობაში, სასცენო მოღვაწეობა მშობლიურ ქუთაისს დაუკავშირა, არასდროს წყვეტდა კავშირს თბილისთან. 1918-1919 წლებში მისი შემოქმედებით აქტიურად ინტერესდებოდნენ იმდროინდელი პერიოდული გამოცემები, იყო არაერთი პოეტის მუზა. „დღეს ყველა გაიგებს, რომ ჩვენც გვყავს სარა ბერნარი, კომისარ ჟივსკის ქალი... ამიტომ უჭირავს არაჩვეულის სიამაყით თავი დღეს ქართულ თეატრს, აქამდე რომ ასე მიტოვებული და დატოვებული ძველ სატრფოს გავდა.“ – წერდა თამარ გოგოლაშვილი გაზეთში „ერთობა“ 1919 წელს.

ნინო ჩხეიძემ ქართულ სცენაზე შექმნა 300-მდე როლი, სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა ჭიათურის, ბათუმის, რუსთაველისა და თბილისის მუშათა თეატრებში. გადაღებულია ფილმებში: „საკანი 79“, „ნახვამდის“ და „დარიკო“. ავტორია წიგნისა „მოგონებები“.

გარდაიცვალა 1963 წელს. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მისი არქივი საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

ზ. დათიაშვილის მოგონება ნინო ჩხეიძეზე

ნინო ჩხეიძე

დღეს მადლიერი თბილისი დღესასწაულს უმართავს საყვარელ მსახიობ ქალს. აქ დღეს ბევრი გულწრფელი სიტყვები ისმის, ბევრი წერილები დაიწერება დიდი არტისტი ქალის დასახასიათებლათ. მეც ავიღე კალამი ხელში, მაგრამ არა ნუცას სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ, არამედ – მსურს ორიოდე სიტყვა ვთქვა მასზე, როგორც ქალზე.

ჯერ კიდევ ფართოდაა გავრცელებული (და არა მარტო ჩვენში) ის აზრი, რომ ადამიანს არ შეუძლია ერთ და იმავე დროს იყოს საზოგადო მოღვაწეც და ოჯახის პატრონიც. საზოგადო მოღვაწეს უმისოდაც ბევრი საზრუნავი აქვს, რომ ოჯახის ზრუნვაც თავს არ დაიტეხოს, ჭკვიანი კაცი ამას არ იზამსო, და სიბრძნეთ თვლიან იმ საზოგადო მოღვაწეთა საქციელს, რომელნიც ამას ერიდებიან. ესაა საზოგადოთ ადამიანზე, თორემ ქალზე კიდევ უფრო ამახინჯებენ ამ აზრს, თუ ქალს სურს საზოგადო ასპარეზზე შრომა და ხალხის სამსახური, ოჯახი კი არა, ქალური თვისებებიც უნდა დაუტევოსო.

და მართლაც ხშირად ვნახავთ მოღვაწე ქალს, რომელსაც ქალური მარტო ისღა აქვს, რომ კაბა აცვია. ქალური სინაზე და სათნოება აღარსადაა, დედობრივი სიყვარული, კეთილშობილური მისწრაფება შვილისადმი სიყვარულისა, სადღაც გამქრალა; მომკვდარა მასში დიასახლისი, მომკვდარა სიყვარული ოჯახისადმი. ზოგ მათგანს ქმარი ყავს, მაგრამ ოჯახი მაინც არ შეუქმნია, შვილებიც არ უნდა...

ტოლსტოი მართალი იყო, როცა ამ მოვლენისადმი ილაშქრებდა და ამტკიცებდა, რომ საზოგადო მოღვაწეობა არ უარყოფს ოჯახს, არ უარყოფს კერძო ბედნიერებას, რომ შესაძლებელი და ფრიად სასურველია ორივე მოვლენის შეერთებაო, რომ

კერძო ბედნიერება, კეთილი ოჯახი, ხელს კი არ უშლის საზოგადო ასპარეზზე მუშაობას, პირიქით, ხელს უწყობსო და სხვა.

ამ აზრის დასამტკიცებლად ისტორია ბევრ მაგალითს იძლევა, საკმარისია თვით მარქსის ბიოგრაფია წავიკითხოთ, რომ მასში დავრწმუნდეთ.

ცოცხალი დამტკიცებაა ამ აზრის დღევანდელი იუბილარი, – ჩვენი ნუცაც.

მე არ მაქვს ბედნიერება ახლოს ვიცნობდე ნუცას ოჯახს, მაგრამ საკმაოა შეხვდე მათ, როცა თავის ბავშვები თეატრში მოყავსთ რეპეტიციის დროს, რომ იგრძნო სითბო ღვთიური. ნუცამ შესძლო ერთსადაიმავე დროს ყოფილიყო დიდი არტისტი, მუდმივი დაუსვენებელი მუშაკი სცენისა და კარგი დიასახლისი, მოსიყვარულე მშობელი და აღმზრდელი დედა. ჩემი აზრით ნუცამ გაასწრო კიდეც ილიას ოცნებას: მისი იდიალური დედა საზოგადო მოღვაწეთ უნდა ამზადებდეს შვილებს, ნუცა კი ამავე დროს თითონაც დიდი მოღვაწეა და, მაშასადამე, დიდი მაგალითი თავისი და სხვისი შვილებისა.

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ამ იდეალურმა მოღვაწე დედა-დიასახლისმა შეინარჩუნა არა მარტო ქალური სინაზე და სათნოება, ნუცამ თვით ჩვენი სცენის დუხჭირ პირობებში შეინარჩუნა კეთილი სახელი ქალისა და ამით დიდი სამსახური გაუწია თვით სცენას. ვინაიდან გაამხნევა ახალგაზრდა ქალები და მით მიიზიდა ისინი სცენისკენ.

აი ამიტომ, მე ნუცას კი არა, ქართველ ქალებს ვულოცავ ამ სამაგალითო ქალის დღესასწაულს და ვუსურვებ ლეგიონები გამოსულიყოს მათი წრიდან ნუცასთანა ქალები, რომ ჩვენს საზოგადოებრივ ასპარეზზე ყველა დარგს ყოლოდეს ბლომათ ასეთი დიდი ბუნებოვანი ადამიანები“.

ზ. დათიაშვილის წერილი გაზეთში „ერთობა“, 1919

ელო-ელო ანდრონიკაშვილი

1883–1956

მსახიობი, მოცეკვავე, პედაგოგი

ელო ანდრონიკაშვილი მცხეთის მონასტრის ოთხკლასიანი სასწავლებლის დასრულების შემდეგ ქართლში, კერძოდ კი, სოფელ წრომში, დისა და სიძის, ლევან ციციშვილის, ოჯახში იზრდებოდა. სცენაზეც პირველად იქვე გამოჩნდა, წრომის სცენისმოყვარეთა წარმოდგენაზე და მას შემდეგ სამუდამოდ დაავადდა თეატრით.

მოგვიანებით, უკვე მშობლიურ სოფელში დაბრუნებულმა, გარშემო კარდენახელი ახალგაზრდები შემოიკრიბა და ლიტერატურულ-დრამატული წრე დააარსა. მათი აქტიურობა უყურადღებოდ არ დარჩენია დასთან სტუმრად მყოფ ილია ჭავჭავაძეს და თავისი ფრაკი და ტანისამოსი შეუწირავს მათთვის.

მალევე ელენე თბილისში მარიამ დემურიასთან გადავიდა საცხოვრებლად. სწორედ მარიამმა წაიყვანა ავჭალის მუშათა თეატრში, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ უმცირესი შემოწირულებებით არსებობდა, იმდროინდელი ხელმოკლე ადამიანებისთვის არაფორმალური განათლების კერას წარმოადგენდა.

ექვსი წელი იმუშავა ელენემ ავჭალის მუშათა თეატრში. წვიმასა და ქარიშხალში მსახიობ ქალს ფეხით უწევდა თეატრამდე მისვლა, სადაც ყველაზე დიდი თანხა, რომელიც სპექტაკლისთვის მიუციათ, 23 მანეთს შეადგენდა. თუმცა წერდა, ეს 23 მანეთიც „დიდი შემოსავალი იყოო“.

1903 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დავალებით ელენე ორჯონიკიძის რაიონში, ქალაქ კავკაზში, გაემგზავრა ქართული სკოლის მასწავლებლად, იმავდროულად თამაშობდა კავკავის სცენისმოყვარეთა წრეში და, როგორც ახალგაზრდა, ნიჭიერმა მსახიობმა, მალევე გაითქვა სახელი. 1905-1907 წლებში იყო სორბონის უნივერსიტეტის პედაგოგიურ-ლიტერატურული ფაკულტეტის მსმენელი.

და აი, 1907 წელს მან პროფესიული თეატრის სცენაზე შედგა ფეხი. მას შემდეგ მოღვაწეობდა ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და ბაქოს თეატრალურ დასებში, იყო ბათუმის „მოგზაურთა დასის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და წამყვანი მსახიობი, მართავდა თეატრალურ წარმოდგენებს, მუშაობდა საბავშვო თეატრის შექმნისა და ჩამოყალიბების კონცეფციაზე. მის სახელს უკავშირდება 1919 წელს ლეკური ცეკვის კურსების გახსნა, სადაც თავადვე პედაგოგობდა. „პარიზში კავკასიურ საღამოზე გამოჩენილ მოცეკვავეს – პეტიპას თაიგული მიართვეს, მაგრამ პეტიპამ რომ ელო ანდრონიკაშვილის ლეკური იხილა, გადაირბინა დარბაზში აღტაცებულმა, თაიგული გადასცა და უთხრა: „ამისი ღირსი მხოლოდ თქვენ ხართო!“ – წერდა 1919 წელს ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“.

1935 წელს, ერთ-ერთი წარმოდგენის დროს, ელენემ ფეხი იტკინა და სცენას ჩამოშორდა, თუმცა უქმად ჯდომა არ შეეძლო და აქტიური მთარგმნელობითი საქმიანობით დაკავდა. თარგმნა ოსკარ უაილდის „პადუის დედოფალი“, გ. კადელბურგის „შავი ლაქა“, ალექსანდრე ოსტროვსკის „უმზითვო“, „უდანაშაულო დამნაშავენი“, გეიერის „მზის საიდუმლო“ და სხვა. 1944 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება.

ელენე ანდრონიკაშვილის მოგონება

ავჭალის აუდიტორია

„პირველად 1899 წელს ავჭალის აუდიტორიაში განსვენებულმა მარიამ დემურიამ გამომიყვანა, რომელთანაც ვცხოვრობდი. ჩვენი მახლობელი იყო და ჩემს დასთან დიდი მეგობრობა ჰქონდა. ნატო გაბუნიას მონაწილეობით რაღაც საბავშო პიესა იდგმებოდა, გლეხის დედაკაცის როლი მათამაშეს და ნატომ დიდი ქება შემასხა – მაშო, შენმა გაზრდამ, ამ ქალს ნიჭი აქვს, ჩვენებურს პიესებში ითამაშოსო“. აქედგან დაწყებული, სწორედ დიდი სიამოვნებით ვიღებდი მონაწილეობას.

ჩვენ ყველა იქ მომუშავენი რაღაც იდეალური გატაცებით ვემსახურებოდით. მე და განსვენებული თამრო ქუჩუკაშვილი ვიყავით ძლიერ დაახლოვებული და მახსოვს, როგორ საოცნებოდ გვეხატებოდა ხალხისთვის მუშაობა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხელმოკლეობას განიცდიდა, მაინც სულით და გულით მიეშურებოდა მასაც შეეტანა თავისი წვლილი.

ჩვენი დიდი თანხა მახსოვს მაშინ 23 მანეთი იყო ხოლმე. ასეთი შემოსავალი დიდი ბედნიერება იყო, ვეტყოდით: „დიდი შემოსავალიაო“. გამბედაობაც დიდი გვჭირდებოდა მახსოვს, ილია ჭავჭავაძის საღამო გავმართეთ, ნიკო ლომაურს უნდა წაეკითხა ლექცია, დარბაზი ხალხით გაჭედილია, მაგრამ არა ჩვეულებრივი მოძრაობაა. ავწიეთ ფარდა. ილიას სურათი გამოჩნდა. ჩვენ გარშემო შემოხვეულნი გაიძახოდენ – „აბა თუ, ბიჭები ხართ, დაიწყეთ!... არ გვინდა!.. ძირს, ძირს!“ და ატყდა საშინელი ჟრიამული. არ ვიცი მგონი ლასხიშვილი იყო თუ

ზურაბიშვილი, იმათ რომ დასამშვიდებელი სიტყვა არ ეთქვათ, თავსში გვესროდნენ რასმეს.

და აი, ასე ბრძოლით, გაჭირვებით, წვიმაში და ქარიშხალში ფეხით დავიარებოდით – მაგალითად, მე პირადათ რუსთაველის პროსპექტიდან ნაძალადევს, რკინისგზის თეატრში, ავლაბარში და ხან ორთაჭალაში.

ჩვენი საპირფარეშო სველი და დაობებული კედლებისგან შესდგებოდა.

მაინც რამდენი ნეტარებაა ჩაქსოვილი, ამ პირველ ნაბიჯებში, პირველ გათვითცნობიერების გზაზე სვლაში!..

ეს ჩემთვის დაუვიწყარია.

ექვსი წელიწადი ვმუშაობდი ავჭალის აუდიტორიაში, ვასრულებდი მოხუცის როლებს.

იქითგან ქუთაისს მიმიწვიეს და მას შემდეგ კი დიდ სცენაზე ვასრულებდი – მოზარდ და ახალგაზრდა კომიკურ-დრამატული როლებს.

დღეს სახალხო სახლს ხელოვნების დროშა დიდ სიმაღლეზე უჭირავს, იმედია, უფრო ფართე ნაბიჯებით წავა წინ და არ დაივიწყებს, თავის კარიბჭეზე ოქროს ასოებით აღბეჭდავს ავჭალის აუდიტორიას და იქ თავდადებულ მუშაკთ.

სახალხო თეატრი 1893-1923,
დედაქალაქი, საიუბილეო კრებული, გვ. 31, 32.

სოფიო
რომანიშვილი-დგებუაძისა
1878-1929

მსახიობი,
სახალხო თეატრის მოღვაწე

„მშობლიურ მიწა-წყალს მოშორებულს, ჯერ რუსეთში და შემდეგ გერმანეთში, ხშირად ოცნებაში წარმომიდგებოდა ხოლმე ჩემი პიროვნება საქართველოში, კულტუროსან საქართველოში“, – წერს სოფიო რომანიშვილი-დგებუაძე თავის მოგონებებში და ალბათ სწორედ ეს იყო იმისი მიზეზი, რომ 1899 წელს, საზაფხულოდ, სამშობლოში დაბრუნებული ახალგაზრდა ქალის ბედი სამუდამოდ გადაეჯაჭვა სახალხო თეატრს. „ასეთი ზრახვებით მოვეშურებოდი მშობლიური კერისკენ და უსაზღვრო ოცნება სინამდვილეში სახალხო თეატრში შემოირკალა.“

მარიამ დემურიას[9] გაცნობის შემდეგ სოფიომ, როგორც იქნა, თავისი თავი იპოვა. მშობლები ექიმობას ურჩევდნენ. უნდოდათ, მათი ქალიშვილი საზოგადოების სრულფასოვანი წევრი ყოფილიყო. მათი თქმით, „ტურტლიან-მურიან“ მუშებთან მას არაფერი ესაქმებოდა, მაგრამ სოფიომ თავისი ძმა სოსოც სახალხო თეატრში მიიყვანა და, მეტიც, განაწყენებულ დედას რეპეტიცია სახლშივე გაუმართა.

პირველი სასცენო ნაბიჯები 1899 წელს სახალხო თეატრის სცენაზე გადადგა. სპექტაკლში „დრონი მეფობენ“ – ნატოს, ხოლო „ორ ობოლში“ ლუიზას როლები შეასრულა.

მის სახლში იმართებოდა უბინაო სახალხო თეატრის რეპეტიციები და თეატრის გამგეობის კრებები, მისგანვე მიჰქონდათ წარმოდგენებისთვის საჭირო ინვენტარი. მსახიობებს მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა, თუმცა, მიუხედავად სიცივისა და პირობების არქონისა, წარმოდგენები მაინც იმართებოდა. თითოეული მათგანი თავადვე იყო რეკვიზიტორი, დეკორატორიც და მსახიობიც.

სოფიო რომანიშვილი-დგებუაძე 20 წელი თავდაუზოგავად ემსახურა სახალხო თეატრს. 1919 წელს ქართული წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობამ მას სასცენო მოღვაწეობის 20 წლის იუბილე გადაუხადა. სახალხო თეატრის[10] საიუბილეო გამოცემაში (1893-1923) სოფიო რომანიშვილი წერს: „ის დღეს 30 წლისაა, ჩვენი დრამა – სახალხო სახლში... როდესაც ვუცქერი მის 30 წლის ვაჟკაცს, ამაყად მომავლისკენ მზირალს – მიხარიან მისი ჯანსაღობა, მისი სიმდიდრე, მისი სიკეკლუცე! და ეხლაც წარსულისამებრ ერთი რამ მენატრება: მენახოს ჩვენი მშობლიური სახალხო თეატრი და მისი ქართული დრამა დასალტული, ახალი ხელოვნების ქნარით ხელში, ახალი სიმღერებით ამღერებული. მაგონდება წარსული და მწამს სახალხო თეატრის ქართული დრამის სიდიადე.“

9 მარიამ ივანიშვილი-დემურია (1860-1910) – საზოგადო მოღვაწე, მწერალი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დახმარებით გაჭირვებული ადამიანებისათვის დააარსა „ავჭალის აუდიტორია“, ე.წ. მუშათა თეატრი, სადაც წარმოდგენები იდგმებოდა ქართულ ენაზე. მარიამი იყო თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძებების სულისჩამდგმელი.

10 ავჭალის აუდიტორია – მუშათა თეატრი ავჭალიდან გადავიდა სამუშაოდ სახალხო სახლში – დღევანდელი მარჯანიშვილის თეატრში, სადაც კოტე მარჯანიშვილმა 1924 წელს დაიწყო მოღვაწეობა. ავჭალის მუშათა თეატრი ზუბალაშვილების სახალხო სახლში თეატრალური ცხოვრების დაწყების საფუძველი გახდა.

გიორგი ჯაბაურის მოგონება სოფიოზე

სოფ.რომანიშვილი-დგებუაძისა (20-წლიანი მოღვაწეობის გამო)

სახალხო სახლში ქართული წარმოდგენების მმართველ წრის გამგეობამ გადასწყვიტა სამშაბათს, აპრილის 20, ოცი წლის მოღვაწეობის გამო იუბილე გაუმართოს თავისს მხნე მუშაკსსცენის მოყვარე ქალს სოფიო რომანიშვილ-დგებუაძისას.

ხსენებულმა წრის გამგეობამ უკვე რამდენიმე იუბილე გაუმართა თავისს დამსახურებულ სცენის მოყვარე კაცებს, მაგრამ ქალის სცენის მოყვარეს იუბილე კი ეს პირველია და უფრო ამითი არის საგულისხმო.

სახალხო თეატრი, დღიდან დაარსებისა, დიდ გაჭირვებას განიცდიდა ქალების მხრივ. ვინ მოსთვლის რამდენ ქალს არ შემოუდგავს ფეხი სახალხო თეატრის სცენაზე, მაგრამ ისევ მალე წასულა და მიუტოვებია, როგორც უჯამაგირო სამსახური. ეხლა საბედნიეროდ, ყველგან ბევრი მოიპოვება სცენის მოყვარე ქალები, მაგრამ ამ 20 წლის წინად სანთლით საძებარნი იყვნენ. განსვენებული მარიამ დემურია ხან ერთ ქალს ეხვეწებოდა სცენაზე სათამაშოდ, ხან მეორეს. ისინიც ხათრს არ უტეხავდნენ, მოდიოდნენ და როგორც მოდიოდნენ — ისევე მალე მიდიოდნენ, აქ ქართულ თეატრის სცენაზე გადადიოდნენ, სახალხო სცენა კი უქალოდ რჩებოდა; სახალხო თეატრმა ქართულ თეატრს ბევრი საუკეთესო არტისტი ქალი შესძინა. მაგალითად, ოლღა ლეჟავა, ნინო დავითაშვილი, ანეტა ქიქოძე და სხვასოფიო რომანიშვილს კი არ მიუტოვებია სახალხო თეატრი, მიუხედავად იმისა, რომ ისიც ბევრჯერ მიიწვიეს ქართულ თეატრში და დღევანდლამდე საუკეთესო სცენის მოყვარედ ითვლება.

სახალხო თეატრის სცენაზე პირველად გამოვიდა 1899 წელს მონაწილეობა მიიღო, „დრონი მეფობენში“ — ნატო, „ორ

ობოლში“ — ლუიზა, იმავე ზაფხულს მონაწილეობა მიიღო ნაძალადევში. რუსეთის კურსებზე გამგზავრების გამო რამდენიმე ხნით შესწყვიტა მუშაობა, ხოლო 1900 წელს დაბრუნებისთავავე სახალხო სცენას დაუბრუნდა და აღარ ჩამოშორებია.

ამ 20 წლის განმავლობაში ბევრი ტანჯვა-დაბრკოლება გამოიარა სახალხო თეატრმა და სოფიო რომანიშვილიც მუდამ იზიარებდა ამ ტანჯვას. ამავე სცენის მოყვარეთ მიერ ხშირად იმართებოდა წარმოდგენები რკინის გზის თეატრში მთავარ სახელოსნოს წინ და სოფიო რომანიშვილიც მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ წარმოდგენებში.

წერა ადვილია, მაგრამ საქმე კი ძნელი. ის, რაც გამოიარა სახალხო თეატრმა, მანამ მოაღწევდა ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლს აუწერელია; აქ ყველაფერი მზად არის, მაგრამ იქ — ავჭალის აუდიტორიაში[11] სადაც ჩაეყარა პირველი საძრკველი სახალხო თეატრს, ძნელი იყო. არსად ბინა, არსად თავსაფარი, — სარეპეტიციო ოთახი... სად დავნიშნოთ რეპეტიცია, გამგეობის კრება? სოფიო რომანიშვილთან. საიდან მოვიტანოთ სცენისათვის ავეჯეულობა, მაგიდის საფარი, ლამფა, ჩაის ჭურჭელი, ხალიჩა, მუთაქა და ფარდაგები? — სოფიო რომანიშვილისგან... მოკლედ — მისი ოჯახი და თითონ სოფიო რომანიშვილი მსახურნი იყვნენ იმ სახალხო თეატრის, რომელიც იმ დროს ერთად ერთი კულტურული დაწესებულება იყო მდაბიო ხალხის. იქ მოსჩანდა სანთლის შუქი დემოკრატიის გასამხნევებლად და დასასვენებლად. თვით ჩვენმა მამამთავარმა ნოე ჟორდანიამ დასწერა ჟურნალ „კვალში“ სახალხო თეატრზედ და სთქვა, რომ „საჭირო ინტელიგენციამ დაიახლოვოს ხალხი და მათთან ერთად აკეთოს საქმეო, თორემ ერთის მოსვლით მეორე მიდიოდეს ვერაფერი თავდებია სახალხო საქმის წინსვლისაო.“ აი, ეს სიტყვები მტკიცედ შეასრულა სოფიო რომანიშვილმა და ხალხს არ ჩამოშორებია, ხალხთან ერთად იყო, არის და, იმედია, მომავალშიც მათთან იქნება და ხალხიც ღირსეულად შეხვდება ასეთ მოამაგე სახალხო მოღვაწეს.

გიორგი ჯაბაურის წერილი,
ჟ. „თეატრი და ცხოვრება“,
1920, N14, გვ. 4.

11 1893 წელს მარიამ დემურიას თაოსნობით ჩერქეზიშვილის ქუჩაზე დაარსდა „ავჭალის აუდიტორია“ — მუშათა თეატრი. სადაც ქართულ ენაზე იმართებოდა სხვადასხვა სახის წარმოდგენები და საჯარო შეხვედრები. ფაქტობრივად, ეს სივრცე იმ დროს მცხოვრები გაჭირვებული ადამიანებისათვის არაფორმალური განათლების კერას წარმოადგენდა. „ავჭალის აუდიტორიის“ თეატრალური დასი 1910-იანი წლებიდან მოღვაწეობას აგრძელებს ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში, დღევანდელი კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

ალბომში წარმოდგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წლები) პერიოდში მოღვაწე ქალების ბიოგრაფიები, ფოტოები, მოგონებები, ასევე წერილები და რეცენზიები მათ შესახებ. მასალები მოძიებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდული პრესიდან. ფოტოები მოპოვებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ფოტომატიანიდან და საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიიდან. მასალის ხელმისაწვდომობისათვის, გვინდა, მადლობა გადავუხადოთ აღნიშნულ დაწესებულებებს.

პუბლიკაციაში გამოყენებულია ფოტოები საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა
და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის მუზეუმის არქივებიდან

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაბუნაშვილი ზ., ნოზაძე თ., მამულიშვილთა სავანე, თბილისი, 1994;
2. დაკარგული ისტორია – მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ, SOVLAB, თბილისი, 2012;
3. ირემაძე ი., ჭანტურიძე ს., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) კულტურის ქრონიკები, ალბომი, თსუ, თბილისი, 2018;
4. ირემაძე ი., ჭანტურიძე ს., პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, თსუ, ცესკო, USAID მხარდაჭერით, თბილისი, 2017;
5. ირემაძე ი., ჭანტურიძე ს., ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.), თსუ, ცესკო, USAID მხარდაჭერით, თბილისი 2019;
6. ისიდორე რამიშვილი, მოგონებანი, თბილისი, 2012;
7. კაშმაძე შ., ვანო სარაჯიშვილი, თბილისი, 1941;
8. კირთაძე ნ., კაენ სად არის ძმა შენი?!, მერანი, თბილისი, 1988;
9. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ენციკლოპედია-ლექსიკონი, თსუ, თბილისი 2018;
10. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, წიგნი II, სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1955;
11. სახალხო თეატრი 1893-1923, დედაქალაქი, საიუბილეო კრებული, გვ. 31, 32;.
12. ქალები და ქალთა საკითხები საქართველოს დემოკრატიულ რეპუბლიკაში 1918-1921, სამეცნიერო რედაქტორი ლ. გაფრინდაშვილი, თბილისი, 2018;
13. ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი, 2015;
14. შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი III, თბილისი, 1993;
15. ხვადაგიანი ი., საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, SOVLAB, თბილისი, 2016;
16. ხვადაგიანი ი., ჩი-ფარი – დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მუსლიმანი დეპუტატი ქალი, 2017, Kvirispalitra.ge.